ვალეს ღვთისმშობლის შობის ეკლესია 150 წლისაა

ვალეს ღვთისმშობელო მარიამ, მუხლმოდრეკილნი ვდგავართ შენს წინაშე და ვაღიარებთ შენს სასწაულთმოქმედებას. შენ იცი, თუ რა უძლურნი ვართ, საკუთარი ძალებით ვაკეთოთ რაიმე საქმე. ამიტომ გევედრებით, მოგვეცი ძალა და უნარი, რათა აღსრულდეს შენი ძის ნება და შენი სურვილისამებრ დაგვირგვინდეს ის საქმე, რომელსაც უძღვები, და რომელსაც მთლიანად შენს მფარველობას მივანდობთ. გევედრებით, მოგვეცი შენნაირი თავმდაბლობის უნარი, რათა ეშმაკმა ვერ შეძლოს ჩვენი მოტყუება და არ გადაგვახვევინოს ერთადერთი და ჭეშმარიტი გზიდან. დაე, ყველაფერი იყოს შენი ძის ნებისა და სურვილისამებრ და არა ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ და გვსურს. ვალეს სასწაულთმოქმედო ღვთისმშობელო მარიამ, ილოცე ჩვენთვის. ამინ.



საბა

№10(202)
ოქტომბერი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

რაბათი

6 ოქტომბერი 2012 წ.

სავარდის დედოფლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის აღდგენა

პოლიტიკა-როგორც მოწოდება?

„პოლიტიკა, როგორც მოწოდება“, – ასეთი გახლდათ მაქს ვებერის ცნობილი მოხსენების სათაური 1918 წელს, სადაც იგი ეხებოდა პოლიტიკურ ცვლილებებს დასავლურ ქვეყნებში. ვებერი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ თანამედროვე კონსტიტუციურ ქვეყნებში მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი პოლიტიკოსია, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ხმას აძლევენ, ირჩევენ და მეგობრებთან ერთად მსჯელობენ პოლიტიკურ საკითხებზე.

მიუხედავად ამისა, სიტყვა „მოწოდება“, რომელიც ასოცირებულია სიტყვასთან „პოლიტიკა“, ალბათ, ცოტათი უცნაურად ხვდება ჩვენს ყურთასმენას, ან სულაც სასაცილოდ ჟღერს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი პოლიტიკის დღევანდელ თვალსაწიერს გავითვალისწინებთ, რომელიც მხოლოდ ძალაუფლების მიღწევასა და შენარჩუნებას ისახავს მიზნად, და ასევე იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკა თავისთავად არის გახრწნილი, ან არადა, გახრწნისკენ მიდრეკილი. გამომდინარე აქედან, სიმართლის მაძიებელი ადამიანი პოლიტიკური სარბიელიდან გვერდზე უნდა გადგეს. მაგრამ, თუკი არისტოტელეს იდეებს (ძვ.წ.აღ. 384-83 – 322) დავეთანხმებით და ისე შევხედავთ პოლიტიკას, – როგორც უყურებს ჩვენი დროის მრავალი გაბედული ადამიანი, – თავად იდეა *„პოლიტიკა, როგორც მოწოდება“* ლოგიკურად აღიქმება. არისტოტელე მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ პოლიტიკოსი განსწავლული უნდა იყოს ფილოსოფიაში და გამოირჩეოდეს მაღალი ზნეობით. აქვე, გავიხსენოთ ქრისტიანული სწავლება პოლიტიკაზე, რომლის მიხედვითაც ყოველი მონათლული ქრისტიანი მოწოდებულია – თავისი წვლილი შეიტანოს სამყაროს ტრანსფორმაციაში. პოლიტიკა, როგორც ღირსეული საქმიანობა, ეკლესიის სოციალური სწავლების უაღრესად ცოცხალი ნაწილია. როგორც *კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო* აცხადებს, პოლიტიკურ სარბიელზე პასუხისმგებლობა უპირველესად საერო პირებს ეკისრებათ, მათი უნარისა და კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით. იოანე პავლე II ენციკლიკაში Christifideles Laici (1988) პოლიტიკოსების საყურადღებოდ შემდეგს ამბობდა: „ბრალდებები კარიერიზმზე, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე, ეგოიზმსა და კორუფციაზე (...) რასაც ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარლამენტარებს (...) პოლიტიკური პარტიის წევრებს უყენებენ, ასევე მოსაზრებები (...) იმის თაობაზე, რომ პოლიტიკა ის სარბიელია, რომელიც მოითხოვს სახიფათო მორალს, ოდნავადაც არ ამართლებს არც ქრისტიანების სკეპტიციზმს და არც საზოგადო საქმისადმი ინტერესის არქონას“ (42). ძლიერი სიტყვებია! ასეთივე ძლიერ მოწოდებად გაისმა ბენედიქტე XVI-ის მიერ ბუნდესთაგში, 2011 წელს წარმოთქმული სიტყვა: „ბუნებრივია, პოლიტიკოსი ეძებს წარმატებას, რომლის გარეშეც ვერასოდეს შეძლებს ეფექტურ პოლიტიკურ საქმიანობას“, მაგრამ „წარმატება შეიძლება ერთგვარი ცდუნებაც იყოს და ასე შეიძლება გზა გაეხსნას უფლებათა ბოროტად გამოყენებას, სამართლის ნგრევას“. საბედნიეროდ, იმ მაგალითების მოსაყვანად, როცა ადამიანებმა ეს დაბრკოლებები დაძლიეს, სულაც არ გვჭირდება ანტიკურ ხანაში გადასვლა. გავიხსენოთ თუნდაც ვლაცლავ ჰაველი (1936-2011) და მრავალი სხვა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დასავლეთ ევროპაში თითქოსდა ხელშეუხებელი კომუნისტური რეჟიმის აშკარა ნგრევას. თავის პოლიტიკურ ანდერძში ჰაველი წერდა: „არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ მყარი პრინციპების მქონე ადამიანი პოლიტიკაში არ უნდა მოვიდეს; საკმარისია, ეს პრინციპები სულდგმულობდეს მოთმინებით, გულმოდგინებით, ურთიერთგაგებითა და ზომიერებით (...). პოლიტიკაში მორალის გატარება სრულიად შესაძლებელი რეალობაა“. ის ასევე დასძენს, რომ ოცნებაც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ეს ადვილად გასავლელი გზაა. ვერც იქნებოდა ასეთი, რადგანაც ცხოვრებაში აუცილებელია რაღაც დოზით კომპრომისზე წასვლა, ხოლო კომპრომისის მიღება სასურველ პირობად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ალღოა. ისიც ფაქტია, რომ ხშირად ძნელია გაარჩიო, თუ სად უფერულდება პოლიტიკური კომპრომისი მორალურ კომპრომისთან და ბოროტებასთან მატერიალურ თანამშრომლობაში. ყველა დროის დიდი ადამიანები, ციცერონი (ძვ.წ.აღ. 106 – 43) და ედმუნდ ბურკე (1729 – 1797), ხშირად აწყდებოდნენ იმ პრობლემას, თუ როდის და რამდენად უნდა წასულიყვნენ კომპრომისზე და აქვე მგზნებარედ დაეცვათ თავიანთი პრინციპები და საკუთარ კარიერაზეც ეზრუნათ. ციცერონს ხშირად უჭირდა თავისი პრინციპებისადმი ერთგულება, რასაც საჯაროდ აღიარებდა, და ვერ შეძლო საკუთარ იდეალებს გაყოლოდა. მისი წერილები ადასტურებენ იმას, რომ ძალას ამაოდ ხარჯავდა. იგივე დაემართა ახალგაზრდა ირლანდიელს ედმუნდ ბურკეს (ე.წ. „ინგლისელი ციცერონი“), რომელიც პროვინციიდან იყო და ცდილობდა, გზა გაეკვლია XVIII საუკუნის ლონდონის პოლიტიკურ სცენაზე. ამ დროს ირლანდიაში მკაცრი კანონები იყო გაბატონებული, რომელიც კათოლიკეებს უკრძალავდა ხმის მიცემას, სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელის პოსტის დაკავებას, რწმენის საჯაროდ აღიარებას; მიუხედავად ამისა, მან შეძლო და გახდა ინგლისის პარლამენტის წევრი. ზოგს იგი მიაჩნდა ისეთ ადამიანად, ვინც ზედმეტი მსხვერპლი გაიღო ოპორტუნიზმის სახელით. ზოგი ეთანხმება უინსტონ ჩერჩილს, რომელიც თვლიდა, რომ იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური წინდახედულობის საოცარი უნარით. საკამათოა ის ფაქტი, რომ როდესაც ბურკემ საბოლოოდ მიაღწია საოცნებო პოზიციას, რითაც გარკვეული ზეგავლენა მოიპოვა, მან, როგორც მისმა გმირმა ციცერონმა, უყოყმანოდ დათმო კარიერა საკუთარი პრინციპების გამო. პოლიტიკაზე ფიქრს არ უნდა შევეშვათ, – ეს მნიშვნელოვანია, რადგან უფრო შორს წავიდეთ, ვიდრე პარტიები და დაჯგუფებები, და დავფიქრდეთ ქვეყნის საჭიროებებზე; სამწუხაროდ, გუნდებისგან შემდგარი პოლიტიკა, მართალია, ზოგიერთ დემოკრატიულ ფასეულობას გვპირდება, მაგრამ ივიწყებს სხვა დანარჩენს, რაც ვნებას აყენებს საზოგადოებრივ სიკეთეს. ოპოზიციაზე საუბრის ნაცვლად, რატომ არ უნდა ვსაუბრობდეთ პარტიათა შორის თანამშრომლობაზე, საერთო კეთილდღეობის მიზნით? ის, ვინც თბილისში ღამით ჩამოფრინდება, დაინახავს, რა საოცრად ლამაზად მოჩანს ქალაქი ზევიდან, რა მშვენიერია მისი განახლებული უბნები; დღეს ტურისტებს ხიბლავს საქართველოს მრავალი კუთხე... მაგრამ ამ ლამაზ ადგილებში შეიძლება ჯერ კიდევ შევხვდეთ გაფუჭებულ გზებს, ადამიანებს, რომლებსაც არ აინტერესებთ, რა ხდება ირგვლივ; მოხუც მამაკაცს, რომელიც გაძვალტყავებულ საქონელს მიერეკება, – სავარაუდოდ, თავის ერთადერთ სიმდიდრეს, – უსაქმოდ დარჩენილ ადამიანებს, რომლებიც დროს ნარდის თამაშში ატარებენ და ელიან დაღამებას; შეიძლება, შეგხვდნენ ადამიანები, რომლებიც გეტყვიან, რომ ახლახანს გადაინერგეს თირკმელები და, დაზღვევის წყალობით, არაფერი გადაუხდიათ; შეიძლება, ისეთ ადამიანებსაც შეხვდე, რომლებმაც არ იციან, როგორ იშოვონ ოპერაციისათვის, ან თუნდაც ექიმთან ვიზიტისათვის საჭირო თანხა; არიან ახალგაზრდები, რომლებიც ვერ დადიან წირვაზე სამუშაოს გამო, სადაც კარგად უხდიან, ხოლო სხვები დიდი ხნის განმავლობაში ვერ პოულობენ სამუშაოს.

ბევრი რამ არის დამოკიდებული პოლიტიკაზე და პოლიტიკურ „ხელობაზე“, რომელიც განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა განვითარება საზოგადო ცხოვრების სხვა შემადგენელ ელემენტებს. თუკი გავითვალისწინებთ იმას, თუ რამდენად არის დამოკიდებული ამ მოსაწყენი, სარისკო და ბინძური საქმიანობის შესრულება პასუხისმგებლობაზე, მაშინ უცნაურად და სასაცილოდ აღარ მოგვეჩვენება იდეა, რომელიც წარმოგვიდგენს *პოლიტიკას, როგორც მოწოდებას.*

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

არისტოტელე

მაქს ვებერი

იოანე პავლე II

ედმუნდ ბურკე


ბენედიქტ XVI

ვაცლავ ჰაველი

ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი ლიბანში

ამა წლის 14-16 სექტემბერს წმიდა მამა სამოციქულო ვიზიტით ლიბანში იმყოფებოდა. ტრადიციისამებრ, თვითმფრინავში მან ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. კითხვაზე, თუ რა გრძნობით მიემგზავრება პაპი ახლო აღმოსავლეთში, ბენედიქტე XVI-მ უპასუხა, რომ რეგიონში რთული სიტუაციის მიუხედვად, არასდროს ყოფილა საუბარი ვიზიტის გადადებაზე და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ვითარებაში აუცილებელია თანადგომისა და ძმური სიყვარულის ჟესტი: „ჩემი მოგზაურობის მიზანი დიალოგისა და მშვიდობისაკენ მოწოდებაა“. ისლამურ სამყაროში ქრისტიანთა დევნის შესახებ საუბრისას, პაპმა აღნიშნა, რომ ფუნდამენტალიზმი რელიგიის ფალსიფიკაციაა. რელიგია ყოველთვის მშვიდობისკენ უნდა მოუწოდებდეს. რაც შეეხება ქრისტიანთა კონკრეტულ დახმარებას კონფლიქტურ რეგიონებში, პოლიტიკოსებს, საერთაშორისო საზოგადოებრიობას და ყველას, ვისაც რაიმე პასუხისმგებლობა აკისრია, მეტი ძალისხმევა მართებთ მშვიდობისკენ მიმავალი გზების ძიებაში. წმიდა მამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეკლესია ბევრს იღვწის საქველმოქმედო და საგანმანათლებლო სფეროში, მაგრამ აუცილებელია ასევე თანადგომის ჟესტები და ლოცვა, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუკი რწმენით აღესრულება.

ვიზიტის პირველ დღეს, ჰარისაში, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში რომის პაპმა ხელი მოაწერა პოსტსინოდალურ სამოციქულო მიმართვას ახლო აღმოსავლეთისადმი. ვიზიტის მეორე დღეს, 15 სექტემბერს, ბაბდაში, ელჩთა დარბაზში, გაიმართა ბენედიქტე XVI-ის შეხვედრები ქვეყნის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარესთან, მუსლიმურ თემთა მეთაურებთან და კულტურის წარმომადგენლებთან. საღამოს, მარონიტთა საპატრიარქოს წინ, პაპთან შესახვედრად ათასობით ლიბანელი ახალგაზრდა შეიკრიბა. 16 სექტემბერს ბეირუთის სანაპიროზე რომის პაპმა წირვა აღავლინა. წირვის შემდეგ პაპმა სიტყვით მიმართა შეკრებილებს:

„საკუთარ თავზე გამოგიცდიათ კონფლიქტებისა და ძალადობის ტრაგედია. სამწუხაროდ, დღესაც არ მიჩუმებულა იარაღის ხმა, ქვრივთა და ობოლთა ქვითინი. მე მივმართავ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, მივმართავ არაბული ქვეყნების ლიდერებს, გამონახონ კონფლიქტების დაძლევის ეფექტური გზები! ვისაც მშვიდობა სურს, სხვებში მხოლოდ ბოროტებას როდი უნდა ხედავდეს. რთულია, დაინახო მოწინააღმდეგეში ადამიანი, რომელსაც პატივი უნდა სცე, რომელიც უნდა შეიყვარო. მაგრამ სწორედ ასეა საჭირო, თუკი მშვიდობა გსურს, თუკი მშვიდობას ეძიებ. დაე, დაამკვიდროს უფალმა მშვიდობა თქვენს გულებში, თქვენს ქვეყანაში და მთელ ახლო აღმოსავლეთში, დადუმდეს იარაღი და შეწყდეს ყოველგვარი ძალადობა. მარიამს, ჩვენს დედას, ესმის ჩვენი წუხილი და გასაჭირი. აქ დამსწრე პატრიარქებთან და ეპისკოპოსებთან ერთად, მის დედობრივ მფარველობას მივანდობ ახლო აღმოსავლეთს“.

ვიზიტის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ, 19 სექტემბერს, წირვის შემდეგ ბენედიქტე XVI-მ წმიდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ მორწმუნეებს მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარა: „ვითარება რეგიონში ძალიან დაიძაბა და მით უფრო დიდი იყო ჩემი სურვილი, ჩავსულიყავი ლიბანში. მამა ყოველთვის თავისი შვილების გვერდით უნდა იყოს იმ დროს, როდესაც ისინი დიდი სიძნელეების პირისპირ დგანან. მე დავინახე, რომ ლიბანის კათოლიკურ თემს თავისი მსახურებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ცხოვრებაში; გამახარა იმ სითბომ, რომლითაც ქვეყნის მუსლიმური თემი შემხვდა. ლიბანელმა ხალხმა მზაობით მიიღო თანადგომისა და მშვიდობის გზავნილი“.

„სულ ცატა ხნის წინ ლიბანელები, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ქრისტიანები, იმედს კარგავდნენ, თავიანთ განსაკუთრებულ როლს

ივიწყებდნენ. რომის პაპის ვიზიტმა, მისმა სიტყვებმა შეგვახსენა, რომ ყველანი, ქრისტიანებიც და მუსლიმებიც, ამ ქვეყნის მკვიდრნი ვართ და ის, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარია. ჩვენ დავინახეთ, რომ ქრისტიანები ლიბანში არა რელიგიური უმცირესობა, არამედ ეკლესიის ცოცხალი მყოფობაა“, – აღნიშნა მარონიტთა პატრიარქმა ბეშარ ბუტროს ელ-რაიმ.

გარდაიცვალა კარდინალი კარლო მარია მარტინი

„სიყვარულით ვფიქრობ ჩემს ძვირფას ძმაზე, რომელიც დაუღლელად ემსახურებოდა ეკლესიას. მადლიერებით ვიხსენებ ამ თავდადებული ბერის, წმიდა ეგნატეს სულიერი შვილის, გამოცდილი პედაგოგის, ავტორიტეტული ბიბლეისტის, კეთილსინდისიერი და ბრძენი ადამიანის მსახურებას. მუდამ სწავლობდა წმიდა წერილს და მთელი გულით უყვარდა იგი. ამიტომაც შეეძლო, ესწავლებინა მორწმუნეთათვის და მათთვის, ვინც ჭეშმარიტებას ეძიებს, რომ ერთადერთი სიტყვა, რომელიც უნდა ისმინო, მიიღო და შეასრულო, – ღმრთის სიტყვაა“, – ნათქვამია წმიდა მამის სამძიმრის წერილში, რომელიც მილანის მთავარეპისკოპოსს, ანჯელო სკოლას გაუგზავნა.

„ეს მძიმე დანაკლისია არა მხოლოდ ეკლესიისათვის, არამედ მთელი იტალიისათვის. სათუთად ვინახავ ხსოვნაში ჩვენს შეხვედრებსა და მრავალრიცხოვან საუბრებს. რა საკითხზეც არ უნდა მეკითხა რჩევა, მას ყოველთვის მზად ჰქონდა კონკრეტული პასუხები“, – წერს თავის სამძიმარში იტალიის პრეზიდენტი ჯორჯო ნაპოლიტანო.

მილანის ყოფილი მთავარეპისკოპოსი, იეზუიტთა ორდენის წევრი, ცნობილი ღმრთისმეტყველი კარდინალი კარლო მარია მარტინი 31 აგვისტოს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თავის ბოლო წიგნში „მღვდელმთავარი“ კარდინალი მარტინი წერს: „მასზე მინდობილი სამწყსოს ხელმძღვანელობისას, მღვდელმთავარი ვერ დაეყრდნობა დეკრეტების, მითითებებისა და აკრძალვების სიმრავლეს. აქცენტი შინაგან განვითარებაზე, წმიდა წერილის გადაცემაზე უნდა გაკეთდეს. ხაზი უნდა გავუსვათ სახარებასთან შეთანხმებული მოქმედებების დადებით ასპექტს. ასე უფრო მეტ ნაყოფს მივიღებთ, ვიდრე მხოლოდ წესების დაცვის მოთხოვნით“.

სირიაში ას ორმოცდაათი ქრისტიანი გაიტაცეს

25 სექტემბერს ლიბიის საზღვართან მდებარე სოფელ რაბლედან ას ორმოცდაათი ბერძნული წესის კათოლიკე გაიტაცეს. გატაცებულები, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ვაშლის ბაღებში მუშაობდნენ. „გავიქეცით, რომ გვენახა, რა ხდებოდა. დავინახეთ, რამდენიმე სატვირთო მანქანა, რომლებითაც გატაცებულები წაიყვანეს. რამდენიმე თვეა, აქაურობას შეიარაღებული ჯგუფები აკონტროლებენ. მოსავლის აღებაც კი არ შეგვეძლო. შემდეგ გუბერნატორმა მათთან თითქოს შეთანხმებას მიაღწია და ბაღებში გასვლა შევძელით. მათ ჩემი ვაჟი გაიტაცეს. გატაცებულთა შორის ბევრი ახალგაზრდაა, ბევრი ქალია. რა უნდათ ჩვენგან? მშვიდობიანი ხალხი ვართ, გვსურს, ყველასთან თანხმობაში ვიცხოვროთ“, – აცხადებს ერთ-ერთი გატაცებულის მამა, აბუ ფადელი. გატაცებულთა ბედი და ადგილსამყოფელი უცნობია.

დამასკოს პატრიარქმა გროგორი III ლაჰამმა სამწყსოს გატაცებულთათვის ლოცვა სთხოვა და სირიის ხელისუფალთ მოუწოდა: „მივმართავ ყველა პარტიას, პატივი სცენ მშვიდობიან მოსახლეობას და გადაარჩინონ უდანაშაულონი“.

ქრისტიანები სკანდალური ფილმის წინააღმდეგ

11 სექტემბერს ვიდეოპორტალ YouTube-ზე გავრცელდა ვინმე ნაკულა ბასილი ნაკულას ფილმი „მუსლიმთა უდანაშაულობა“ (Innocence of Muslims), რომელიც მუჰამედ წინასწარმეტყველს ჭკუასუსტ მექალთანედ გვიხატავს. ფილმის გავრცელებას მუსლიმურ ქვეყნებში მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები მოყვა. ლიბიაში, ბენღაზიში ხელყუმბარებით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოში შეიჭრა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი, მათ შორის, აშშ-ს ელჩი ლიბიაში კრისტოფერ სტივენსი.

„ქაიროს ცენტრში საპროტესტო აქციები იმართება. დემონსტრანტთა დიდი ნაწილი აშშ-ს საელჩოსთან იყრის თავს. მათ შორის ბევრი ქრისტიანია, რომლებიც მუსლიმებთან ერთად აპროტესტებენ ამ ფილმის გამოჩენას“, – შეატყობინა სააგენტო Fides-ს ეგვიპტის კათოლიკური ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა რაფიკ გრაიჰემ, ბენღაზიში განვითარებულ მოვლენებამდე რამდენიმე საათით ადრე.

წმიდა საყდრის პრეს-სამსახურის უფროსი ფედერიკო ლომბარდი მომხდარს საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა: „განსხვავებული რელიგიური შეხედულებების, რელიგიური ტექსტებისა და სიმბოლოების, პიროვნებათა პატივისცემა ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. ამ დღეებში ჩვენ კიდევ ერთხელ

ვიხილეთ პროვოკაციის, მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ტრაგიკული შედეგები. ამგვარი პროვოკაციები ზრდის დაძაბულობას, აღვივებს სიძულვილს და იწვევს მიუღებელ ძალადობას“.

მერი როუზ მაკგიდი

13 სექტემბერს, ოლბანიში (აშშ) გარდაიცვალა 84 წლის მონაზონი მერი როუზ მაკგიდი, რომელსაც „ქუჩის ბავშვების დედა ტერეზა“ შეარქვეს. 1990-2003 წლებში იგი Covenent House-ის, ბავშვთა თავშესაფრების ქსელის დირექტორის თანამდებობას იკავებდა. ორგანიზაცია 1972 წელს ფრანცისკელმა მღვდელმა, ბრიუს რიტერმა დააფუძნა, როდესაც Manhatten Collage-ში მასწავლებლობას ქუჩის ღატაკთათვის ზრუნვა არჩია. საქმიანობა ნიუ-იორკში ერთი ცენტრის დაარსებით დაიწყო და რამდენიმე წელიწადში Covenent House-ის თავშესაფრები უკვე აშშ-ს რამდენიმე ქალაქში მუშაობდა. 1990 წელს ბრიუს რიტერს პედოფილიაში დასდეს ბრალი და იგი იძულებული იყო, მსახურება შეეწყვიტა. 1999 წელს Covenent House-ის დამფუძნებელი გარდაიცვალა. მისი ბრალეულობა არასდროს ყოფილა დამტკიცებული.

ბრიუს რიტერის გადადგომის შემდეგ, იგი მერი როუზ მაკგიდიმ შეცვალა. სკანდალის გამო, Covenent House-ის დაფინანსება საგრძნობლად, 80-დან 42 მილიონამდე შემცირდა. დაიხურა საინფორმაციო ცენტრი ნიუ-იორკში, ორგანიზაცია იძულებული იყო შეემცირებინა ადგილების რაოდენობა სხვადასხვა ცენტრებში. თუმცა მერი როუზმა წარმატებულად შეძლო ბრიუს რიტერის დაწყებული საქმის გაგრძელება. დღეს ორგანიზაცია შემოწირულობების სახით ყოველწლიურად 130 მილიონ დოლარს იღებს. მისი თავშესაფრები აშშ-ს 26 ქალაქში ფუნქციონირებს. ორგანიზაცია საქმიანობას ლათინური ამერიკის რამდენიმე ქალაქშიც ახორციელებს. ამჟამად Covenent House-ის მზრუნველობის ქვეშ დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ბავშვია. 24 საათის განმავლობაში მუშაობს ორგანიზაციის ცხელი ხაზი. „მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, მან შეძლო ორგანიზაციის გადარჩენა, თითქმის ნანგრევებიდან აღადგინა“, – ასე აფასებს „ქუჩის ბავშვების დედა ტერეზას“ ღვაწლს ორგანიზაციის წევრი მამა რაიანი.

„თუკი არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე პრობლემური და საფრთხეში ჩავარდნილი ახალგაზრდებისთვის ზრუნვაა, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი“, – თქვა მერი როუზმა, როდესაც თავშესაფარს ბრიუს რიტერისაგან იბარებდა.

მერი როუზ მაკგიდი 1928 წელს, პენსილვანიაში დაიბადა. ბავშვობიდანვე იგი წმიდა ბიკენტი დე პოლის სახელობის მოწყალების დათა ორდენის საქმიანობამ გაიტაცა. ორდენის დები იმ სკოლაში მსახურობდნენ, სადაც მერი როუზი სწავლობდა. იგი ორდენის წევრი 1946 წელს გახდა; უკვე მონაზვნად კურთხევის შემდეგ, ედმონტონის კოლეჯში სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას სწავლობდა. 2003 წელს, ხანდაზმულობის გამო, მან ორგანიზაციის დირექტორის თანამდებობა დატოვა, თუმცა ბავშვებისა და მოზარდებისათვის ზრუნვა არ შეუწყვეტია.

ღმრთის გმობაში ბრალდებული გოგონა უდანაშაულოდ აღიარეს

ჟურნალ „საბას“ წინა ნომერში გაცნობეთ პაკისტანელი გოგონას, რიმშა ჰასის შესახებ, რომელიც პოლიციამ ყურანის შეურაცხყოფის გამო დააპატიმრა. შეგახსენებთ, რომ მას ნაგვის პარკში ყურანის დამწვარი ფურცლები აღმოუჩინეს. ერთკვირიანი გამოძიების შემდეგ, პაკისტანის პოლიციამ აღიარა, რომ გოგონას ბრალეულობის არავითარი მტკიცებულება არ არსებობს და ბრალდება უსაფუძვლო იყო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ყურანის დამწვარი ფურცლები გოგონას პარკში იმამმა მოჰამედ ჰალიდ იადონ ქისტიმ ჩაუდო, რათა შემდეგ იგი ყურანის შეურაცხყოფაში დაედანაშაულებინა. ამჟამად იმამი პატიმრობაში იმყოფება.

საიტი ჭეშმარიტების მაძიებელთათვის

aleteia.org – ეს არის საიტი მათთვის, ვისაც რწმენისა და სიცოცხლის საკითხები აღელვებს, მათთვის, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს. ეს არის პირველი მრავალენოვანი საიტი, სადაც ყველა დაინტერესებულს შეუძლია, დასვას კითხვები და მიიღოს პასუხები კათოლიკური მოძღვრებისა და კათოლიკე ეკლესიის შესახებ. პროექტი საერო პირთა მიერ განხორციელდა, საზოგადოებრივ კომუნიკაციათა და ახალი ევანგელიზაციის ხელშეწყობის პონტიფიკალურ საბჭოებთან თანამშრომლობაში. საიტის პრეზენტაცია 20 მაისს, რომში გაიმართა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ვალეს ღვთისმშობლის შობის ეკლესია 150 წლისაა



2012 წლის 8 სექტემბერს უჩვეულოდ ლამაზი დილა გათენდა ვალეში. ამ დღეს ვალეს ღვთისმშობლის შობის ეკლესიის კურთხევიდან 150 წელი შესრულდა. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და სამახსოვრო თარიღი ჩაიწერება არა მარტო სოფლის ისტორიაში, არამედ ყოველი ჩვენგანის გულშიც.

ამ დღესასწაულისათვის, მამა ზურაბთან ერთად, ეკლესიის მრევლი დიდი მონდომებით ემზადებოდა, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. მორწმუნენი ენერგიასა და მონდომებას არ იშურებდნენ, რათა იუბილე სათანადოდ მოემზადებინათ და თავადაც სულიერად გასპეტაკებულნი შეხვედროდნენ ამ დღეს. ახალგაზრდებმა ეკლესია სადღესასწაულოდ მორთეს, მათვე საგულდაგულოდ მოამზადეს სცენა ღვთისმშობლის შობის შესახებ.

გათენდა ღვთისგან კურთხეული დილა, სტუმრების მოლოდინში ირგვლივ საზეიმო განწყობა სუფევდა. ველოდით ჩვენს ეპისკოპოსს, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, საქართველოში მოღვაწე მღვდლებსა და მონაზვნებს, სემინარისტებს პოლონეთიდან, ქ. ვარშავის სასულიერო სემინარიის (ამ სემინარიაში სწავლობდა მამა ზურაბი) ოცდაოთხი კაცისგან შემდგარ პროფესორ-მასწავლებლების (მღვდლების) ჯგუფს. მათ შორის იყო სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, მამა ზურაბის ხელმძღვანელი, პროფესორი მამა იოსებ ნაუმოვიჩი. ასევე ველოდებოდით წმიდა საყდრის დესპანს, მთავარეპისკოპოს მარეკ სოლჩინსკის, რომელმაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოახერხა ჩამოსვლა. დღესასწაულზე ასევე მოწვეულნი იყვნენ: ვალეს გამგებელი, ბატონი გელა გოზალიშვილი; საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან, ვალეს მკვიდრი ბატონი ვაჟა ჩიტაშვილი; ვალეს სამივე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონები ირა გოგილაშვილი, ქეთევან გიორგიძე, რიფსიმე არუთინიანი; დამსახურებული ექიმი და მრავალი ლექსის ავტორი, ბატონი შალვა მოსეშვილი, ვალეს ისტორიით დაინტერესებული, მრავალი წიგნის ავტორები, მარკოზ გოზალიშვილი და ვახტანგ ზაქროშვილი; სერგო და ჟენია მერაბიშვილები; საქართველოს ყველა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები; ვალეს ეკლესიის

▶ 8 გვ.

◀ 7 გვ.

მრევლის წევრები.

ეპისკოპოსსა და პოლონელ მღვდლებს ეკლესიის ეზოში ვალეს ახალგაზრდები ქართული ცეკვებითა და სიმღერებით შეხვდნენ.

წმიდა წირვა გუნდის გალობის თანხლებით დაიწყო, საკურთხევლისკენ მიმავალ მღვდელთა რიცხვი არ ილეოდა (დაახლოებით, ორმოცდაორი მღვდელი). ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ მოგვილოცა დღესასწაული და აღნიშნა, რომ ეს დღე ყველასთვის მნიშვნელოვანია და მუდამ გვემახსოვრება.

პროფესორმა, მამა იოსებ ნაუმოვიჩმა თავის ქადაგებაში ისაუბრა ღვთისმშობლის შემწეობის შესახებ ქრისტიანის ცხოვრებაში, გაიხსენა ვალეს ღვთისმშობლის სასწაულები. ისაუბრა ასევე საქართველოს ბუნების განსაკუთრებული სილამაზის შესახებ, ლეგენდაზე, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ერგოთ წილად ქართველებს ღვთივკურთხეული მიწა. წმიდა წირვის დასასრულს, მღვდლებსა და მონაზვნებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქარი – ღვთისმშობლის ხატები. შემდეგ მამა ზურაბმა მადლობა გადაუხადა მობრძანებულ სტუმრებს და მიიპატიჟა ღონისძიებაზე, რომელიც ქართული ცეკვით დაიწყო; მამა ზურაბმა ისაუბრა ვალეს ეკლესიის ისტორიაზე (იხ. ქვემოთ), ბატონმა მარკოზ გოზალიშვილმა კი – ვალეს ისტორიაზე. ახალგაზრდებმა წარმოადგინეს ღვთისმშობლის შობის სცენა. აპოკრიფულ წყაროებზე დაყრდნობით, მათ შთამბეჭდავად გადმოსცეს ამბავი ღვთისმშობლის დაბადებისა და აღზრდის შესახებ. ვალეს სამრევლოს ბავშვებმა ყველა მოხიბლეს ქართული ცეკვებით.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, მამა ზურაბმა ყველანი მიიპატიჟა ტრაპეზზე, რომელიც ვალეს მრევლმა დიდი სიყვარულით მოამზადა.

დღესასწაულის სიდიადემ და ღონისძიებებმა სტუმარ-მასპინძელი აღაფრთოვანა. სტუმრები დაგვემშვიდობნენ, ჩვენ წარმატებები ვუსურვეთ მათ და გზა დავუღოცეთ.

ეს დღე დაუვიწყარი იქნება და სამუდამოდ დარჩება ყველა ჩვენგანის გულში. ვალეს ახალგაზრდებისა და მთელი მრევლის სახელით, მამა ზურაბს მადლობის ნიშნად ვუძღვნით შემდეგ სტრიქონებს:

„ღმერთმა ამოირჩია,
დალოცა და აკურთხა;
მისცა ფარა, მადლი მწყემსის,
სიყვარული დიდი ღმერთის.“

ეკა და მარი ხითარიშვილები
ეკა გაბელაშვილი

ვალეს ღვთისმშობლის შობის კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია

ძვირფასო სტუმრებო, ძვირფასო საზოგადოებავ! დღეს – 2012 წლის 8 სექტემბერს აღვნიშნავთ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს და მისი სახელობის ეკლესიის კურთხევიდან 150-ე წლისთავს.

ამ ტაძრის აგებამდე, ვალეში კათოლიკური ეკლესია ცოტა მოშორებით, იმ ადგილზე მდგარა, დღეს „სიმონას ნასაყდრევს“ რომ ვუწოდებთ. რატომ აშენდა კათოლიკური ეკლესია ახალ ადგილზე, ამის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

თურქებს ვალეს ცენტრში აუშენებიათ მუსულმანური სამლოცველო – ჯამე, კათოლიკურ ეკლესიასთან ახლოს; მაგრამ რადგანაც წირვის დროს კათოლიკე მრევლის გალობა აწუხებდა ახლო-მახლო მცხოვრებ თურქ ოჯახებს, თურქებს ერთ-ერთი შემოსევის დროს ნანგრევებად უქცევიათ კათოლიკური ეკლესია.

სხვა მოსაზრებით კი ეს ეკლესია პატარა ყოფილა და მრევლს ვეღარ იტევდა, ამიტომაც შეიქმნა ახალი ტაძრის აშენების საჭიროება.

ვალეს მოსახლეობამ ამ ეკლესიის მშენებლობის დროს მომხდარი სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტები შემოინახა. როდესაც გაჩნდა ვალეში ახალი ეკლესიის აშენების იდეა, იმ პერიოდში აქ მოღვაწეობდა მამა სტეფანე თომას ძე გოზალიშვილი. მას მამისთვის უთხოვია, რომ მიეცა მისთვის მისი წილი მიწა, რათა ის უსასყიდლოდ გადაეცა სოფლისთვის ეკლესიის ასაშენებლად. მამას მოსწონებია შვილის განზრახვა და მისთვის მიწის ნაკვეთი გამოუყვია. სოფლის მოსახლეობამ საკუთარი ხარჯით დაიწყო ეკლესიის მშენებლობა სოფლის თავში. დადგინდა, რომ თითოეულ ოჯახს უნდა მოეტანა შვიდი კუთხის ქვა და მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა მამაკაცს, ვისაც მუშაობა შეეძლო. ეკლესიის ასაშენებლად საჭირო ქვას ურმებითა და საცურავებით ეზიდებოდნენ წყურეთიდან და ბუზმარეთიდან.

ვალელები ერთ ამბავსაც იხსენებენ: ერთ, ფიზიკურად ძლიერ ქალბატონს მოუსურვებია მშენებლობაში მონაწილეობის მიღება. როდესაც ეკლესიის საძირკველს თხრიდნენ, იქ სამუშაო იარაღით მისულა, მაგრამ მისთვის უარი უთქვამთ. ქალს ასეთი რამ მოუფიქრებია: მუშებისთვის სადილი და ქოთნებით მაწონი მიუტანია. როდესაც მუშებმა მაწონი შეჭამეს, ყველა ქოთნის ფსკერზე ქვიშა აღმოჩნდა. მუშები მიხვდნენ ქალის ჩანაფიქრს და დარჩენილი მაწონი საძირკველში ჩაასხეს. ასეთნაირად მიიღო იმ ქალბატონმა მონაწილეობა ეკლესიის მშენებლობაში. ქალის ამგვარმა ქცევამ ხალხი აღაფრთოვანა და მუშების რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა.

ეკლესიის თაღებსა და სვეტებზე კარგად ჩანს საგულდაგულოდ დამუშავებული ნათალი ქვები. ამ ქვებს ერთი ხელოსანი ამზადებდა; ერთხელ მას მოახსენეს, ერთი ქვა აკლიაო. მას უთქვამს, არ აკლდება, ზუსტად გავითვალეო. მერე ერთ-ერთ ახალგაზრდა მეურმეს უღიარებია: ეგ ქვა წყალში ჩამივარდა და ვერ ამოვიღეო.

ვალელი კათოლიკეების თავდადებული შრომით, ეკლესია ორ წელინადში აშენებულა და 1862 წელს კიდეც უკურთხებიათ. ეკლესიისათვის ზარი შეუნირავს თბილისელ ვაჭარს ივანე ურგენოვს. ზარი 4 ფუთსა და 16 გირვანქას იწონიდა. შემდეგ იგი კომუნისტებმა გაანადგურეს. ეკლესიის სამხრეთით, ეზოში განისვენებენ მღვდლები: სტეფანე გოზალიშვილი (1828-1895) და სტეფანე ზაქროშვილი (1820-1903), რომელთა მოღვაწეობის დროს აშენდა ეს მშვენიერი ტაძარი. მათ შემდეგ ამ ეკლესიაში ბევრმა მღვდელმა იმსახურა, მაგრამ, კომუნისტური რეჟიმის დამყარების დროს, აქ, ისე როგორც სხვა დანარჩენ ეკლესიებში, წირვა-ლოცვა შეწყდა. ეკლესიებს საწყობებად, ხორბლისა თუ სხვადასხვა პროდუქტების შესანახად იყენებდნენ. მრავალი წლის განმავლობაში მორწმუნეებს არ შეეძლოთ ეკლესიაში შესვლა და მოძღვრის გარეშე მღვდლის სახლში ლოცულობდნენ; პირადად მეც მახსოვს ეს, მაშინ პატარა ბავშვი ვიყავი. ვალეს მცხოვრებლებისთვის ასევე ცნობილია ასეთი ფაქტიც: როდესაც კომუ-

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ.

ნისტებმა განიზრახეს ვალეს ეკლესიის საწყობად გამოყენება, ჯერ ტაძრის გასაღები ჩამოართვეს მღვდელს, შემდეგ კი აპირებდნენ, მიეტაცებინათ და გაენადგურებინათ ეკლესიის ყველა ძვირფასეულობა: ხატები, ჯვრები, ქანდაკებები. როდესაც მრევლმა ამის შესახებ შეიტყო, სასწაულით გააღეს ეკლესიის კარები, გამოიტანეს იქიდან ყველა ძვირფასეულობა და სახლებში გადამალეს. მეორე დღეს კომუნისტები განცვიფრდნენ, ეკლესია ცარიელი რომ დახვდათ. მრავალი დაკითხეს, დააშინეს, დაემუქრნენ, მაგრამ ვერავინ გატეხეს. ასეთნაირად შეინარჩუნა მრევლმა ეკლესიის საკუთრება.

ვფიქრობ, რომ სწორედ ვალეს სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის წყალობით გადაურჩა დაკარგვასა და დარბევას ეკლესიის ქონება. ხალხი დღესაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მას. მისი სასწაულების შესახებ ძველთაგანვეა ცნობილი. თუნდაც გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ეს მოხდა ღვთისმშობლის დღესასწაულზე (სავარაუდოდ, სექტემბრის თვის დასაწყისში). ღვთისმშობლის ქანდაკებას სამჯერ შემოატარებდნენ ხოლმე ეკლესიას და გალობით განადიდებდნენ მას. ერთხელ, ეკლესიის მახლობლად მცხოვრებ თურქ ქალს ნაგავი შეუყრია ქანდაკებისთვის, რის გამოც მაშინვე დაკრუნჩხულა. მან არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ საშინელი ტანჯვისათვის, ამიტომ მოლასთან მისულა და ყველაფერი უამბნია. მოლას ურჩევია: წადი და ეკლესიას სამჯერ შემოუარე ჩოქვითო, მერე ღვთისმშობლის ქანდაკებას თაყვანი ეცი და შესაბამისი შესაწირი გაიღეო. როგორც კი ქალს ყველაფერი შეუსრულებია, მაშინვე განკურნებულა.

ღვთისმშობლის სასწაულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს და ყველამ უნდა გამოსცადოს მისი სასწაულთმოქმედების ძალა. ამისათვის შემოგთავაზებთ ჩემს მიერ შედგენილ პატარა ლოცვას, რომელიც, მწამს, ბევრს დაეხმარება და მრავალი გაჭირვებისა თუ განსაცდელისაგან იხსნის, გვიშუამდგომლებს თავის ძესთან და მოგვანიჭებს სიმშვიდეს.

მადლობა და ღვთის დიდება ვალეს ეკლესიის მშენებლობაში მონაწილე ადამიანებს. ღმერთმა დაუმკვიდროს მათ ცათა სასუფეველი. დაე, იმრავლოს მორწმუნე კეთილ ადამიანთა რიცხვმა. ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი თავდადებული შრომით აგვიშენეს ეკლესია. ვილოცოთ, შევიკრიბოთ წირვა-ლოცვებზე; უსასყიდლოდ მიღებული უსასყიდლოდ და უნაკლოდ გადავცეთ მომავალს

მამა ზურაბ კაკაჩაშვილი

„ვალეს ღვთისმშობელო მარიამ,
მუხლმოდრეკილნი ვდგავართ შენს წინაშე
და ვაღიარებთ შენს სასწაულთმოქმედებას.
შენ იცი, თუ რა უძლურნი ვართ, საკუთარი
ძალებით ვაკეთოთ რაიმე საქმე. ამიტომ
გევედრებით, მოგვეცი ძალა და უნარი,
რათა აღსრულდეს შენი ძის ნება და შენი
სურვილისამებრ დაგვირგვინდეს ის საქმე,
რომელსაც უძღვები, და რომელსაც მთლიანად
შენს მფარველობას მივანდობთ. გევედრებით,
მოგვეცი შენნაირი თავმდაბლობის უნარი,
რათა ეშმაკმა ვერ შეძლოს ჩვენი მოტყუება
და არ გადაგვახვევინოს ერთადერთი და
ჭეშმარიტი გზიდან. დაე, ყველაფერი იყოს შენი
ძის ნებისა და სურვილისამებრ და არა ისე,
როგორც ჩვენ ვფიქრობთ და გვსურს. ვალეს
სასწაულთმოქმედო ღვთისმშობელო მარიამ,
ილოცე ჩვენთვის. ამინ“.

ქრისტიანები სხვა რელიგიებთან დიალოგში

ვატიკანის II კრებამ (1962-1965 წწ.; წელს აღინიშნება გახსნიდან 50-ე წელი), ქრისტიანებსა და სხვა რელიგიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგების ხიდი გასდო. ყოველივეს ნათელი მოჰფინა 1965 წელს გამოცემულმა ორმა დოკუმენტმა – Nostra aetate, დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ და Dignitatis humanae, დეკლარაცია რელიგიის თავისუფლების შესახებ. როგორ შეიძლება შეფასდეს ამ კრების დოკუმენტები 50 წლის შემდეგ? შეიტანა თუ არა დიდი წვლილი ქრისტიანულ თეოლოგიაში, და უფრო ფართოდ, ეკლესიის ცხოვრებაში? როგორაა ის დაკავშირებული სხვა რელიგიურ ტრადიციებთან?

მოკლედ მიმოვიხილოთ ვატიკანის II კრების ძირითადი მონაპოვარი და დავაკვირდეთ, როგორ განვითარდა ის დღევანდლამდე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია შევეხოთ იმ ორ საკითხს, რაც დღეს გამოიკვეთა კრების მემკვიდრეობიდან: პირველი, რელიგიათაშორის დიალოგი და მეორე, ამ დიალოგსა და ქრისტიანული რწმენის აღსარებას შორის კავშირი.

ვატიკანის II კრებიდან დღევანდლამდე

დეკლარაციაში Nostra aetate თავდაპირველად განხილული იყო ებრაელებთან ურთიერთობის საკითხი, მაგრამ ნელ-ნელა მან მოიცვა სხვა არაქრისტიანული რელიგიები. ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, რაც აქ ყველა რელიგიაზე ითქვა, გავიხსენებთ მხოლოდ დეკლარაციის ცენტრალურ თეზისებს: „კათოლიკე ეკლესია არ უარყოფს არაფერს იქიდან, რაც ამ რელიგიებში არის ჭეშმარიტი და წმიდა. ის გულწრფელი პატივისცემით განიხილავს მოქმედებისა და ცხოვრების იმ ფორმებს, დარიგებებსა და მოძღვრებებს, რომლებსაც – მიუხედავად მათი დიდი განსხვავებებისა იმისგან, რასაც თავად ეკლესია ემხრობა და ასწავლის – ხშირად მოაქვს სხივი იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ყველა ადამიანს განანათლებს. ის აუწყებს და განუხრელად უნდა აუწყებდეს ქრისტეს, რომელიც არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოან.14,6). მასში ადამიანები ჰპოვებენ რელიგიური ცხოვრების სისავსეს, რომელშიც ღმერთმა ყველაფერი შემოირიგა“(N.a.2.). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დეკლარაციის მოწოდება საყოველთაო ძმობაზე, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას იმ მხრივ, რაც ეხება“ადამიანურ ღირსებას და მისგან გამომდინარე უფლებებს“. დეკლარაცია Dignitatis humanae თავის მხრივ აცხადებს, რომ ადამიანის პიროვნებას აქვს რელიგიური თავისუფლების უფლება. ეს უფლება ჭეშმარიტად ეფუძნება თავად ადამიანური პიროვნების ღირსებას; თავისუფლების შესახებ ამ მოძღვრების ფესვები წმიდა გამოცხადებაში დევს. ადამიანმა ღმერთს რწმენით ნებაყოფლობით უნდა უპასუხოს; რადგან ღმერთმა, რომელმაც დაამოწმა ჭეშმარიტება თავისი ძის მიერ, არ ისურვა, ის მოწინააღმდეგეთათვის ძალით მოეხვია თავს.

სხვა რელიგიებთან მიმართებაში, ამგვარი ხედვა საშუალებას იძლევა, გადაილახოს უკიდურესად ვიწრო გაგება, რომ „ეკლესიის გარეშე არ არის ხსნა“. ამგვარი ხედვა ეკლესიის შემდგომდროინდელმა დოკუმენტებმა განამტკიცეს, რომლებშიც გაცხადებულია სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან წრფელი და მოკრძალებული დიალოგის აუცილებლობა. ვატიკანის II კრების მემკვიდრეობიდან უნდა გამოიყოს კატეხეზები და ლიტურგია, ასევე სხვადასხვა სახის ინიციატივები სხვა მორწმუნეებთან დიალოგის კუთხით („დიალოგი ცხოვრებაზე“, „დიალოგი რელიგიურ გამოცდილებაზე“, „დიალოგი თეოლოგიურ ურთიერთგაცვლებზე“).

გარკვეული თვალსაზრისით, კრების მასალები რელიგიის საკითხების შესახებ საკამათოც კია; აქ ორი სახის სირთულეს ვაწყდებით. ერთი მხრივ, რელიგიური „პლურალიზმის“ წარმომადგენლები იწუნებდნენ კრების ტექსტებს სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობის „ინკლუზიური“ ხასიათის გამო და მოითხოვდნენ უფრო მეტ გაბედულებას თანამედროვე რელიგიებთან მიმართებაში. მეორე მხრივ, თავი იჩინა შიშმა თუ ეჭვმა რელიგიათაშორისი დიალოგის ახალ ინიციატივათა გამო: ხომ არ იყო ეს, ზოგიერთ შემთხვევაში, ქრისტიანებისთვის ძალზე პრეტენზიული, ან სულაც შეუძლებელი, ან საშიში იმ ქვეყნებში, სადაც ისინი უმცირესობას შეადგენენ?

ასეთი რეაქციის შედეგად, რელიგიურ თემებზე კრების ტექსტების განხილვისას, გამოიკვეთა ორი

მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი ეხება თავად დიალოგს: რატომ არის აუცილებელი დიალოგი და რას შეიძლება ელოდო მისგან. მეორე: როგორ შეიძლება იმ ორი მოთხოვნის ერთად შეჯერება, რაც მოცემულია Nostra aetate-ში: მზაობა მის მიმართ, რაც არის „ჭეშმარიტი და წმიდა“ რელიგიაში და ქრისტესთან კავშირი, რომელიც არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

დიალოგის ნაყოფი

რაც შეეხება თავად დიალოგს, ფიქრობენ, რომ იოლად შეიძლება გაჩნდეს ორაზროვნება ან დევიაციები: ასე მაგალითად, როდესაც ზედაპირულია შეხვედრები, სადაც განსხვავებები მიჩქმალულია, ან სულაც იგნორირებული, ან როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის ლოიალური საკუთარი ტრადიციის მიმართ, ან ცდილობს, თავზე მოახვიოს მოსაუბრეს თავისი მოსაზრებები. თუმცა ამგვარი სახის დევიაციები მაინც არ ეწინააღმდეგება რელიგიათაშორის დიალოგს; შეგვახსენებს, რომ როგორც ყოველი სახის დიალოგი, ისიც უნდა ემორჩილებოდეს ეთიკურ ნორმებს, როგორც ურთიერთობის, ერთგულებისა და პატივისცემის მოთხოვნა საკუთარი თავისადმი და სხვის მიმართ.

თუმცა რჩება მთავარი სირთულე თეოლოგიური თვალსაზრისით: შეუძლიათ ქრისტიანებს რეალურად რაიმეს ელოდონ სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან დიალოგისგან, მაშინ როდესაც მათ უკვე ღმერთი ესაუბრა თავისი ძის მეშვეობით, და ხომ არ უნდა ელოდონ კიდევ ერთ გამოცხადებას, რომელიც ახალ აღთქმას დაასრულებს? აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კითხვა შეიძლება დაისვას სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ: რას შეიძლება ელოდონ ისინი ქრისტიანებთან დიალოგისგან, როცა დარწმუნებულნი არიან, რომ ჭეშმარიტებას აღიარებენ?

„ღმრთის სიტყვის თესლი“

ეკლესიის მამებმა უკვე გასცეს პასუხი იმ კითხვებს, რომელიც ეხება ქრისტეს მოსვლამდელ ჟამს. როდესაც მათ მიანიშნებდნენ, რომ ქრისტიანობა უახლესი რელიგიაა, ისინი იმ ფაქტს იშველიებდნენ, რომ იესო ნაზარეველი არის „ლოგოსი“, ანუ „ღვთის სიტყვა“, რომელიც ინკარნაციის ჟამამდე არსებობდა. II საუკუნეში, აპოლოგეტი იუსტინე აცხადებდა, რომ ღვთის ლოგოსი მსოფლიო ერებს შორის „დაითესა“: ანტიკურ ხანაში მცხოვრებმა ადამიანებმა შეიძინეს ცოდნა ღვთის საიდუმლოზე, ცოცხალ „ლოგოსზე“ (სოკრატეს მსგავსად, რომელმაც უარყო თავისი ქალაქის ღვთაებებისადმი თაყვანისცემა და რომელსაც უსამართლოდ დასდეს მსჯავრი). იმთავითვე უნდა დავაზუსტოთ, რომ მამათა აზრით, წინარე ეპოქებში ადამიანები ღვთის მადლით ნებისმიერი

სახის გამძლეობას იჩენდნენ: სარეველა კარგ თესლთან ერთად ხარობდა. მაგრამ სულიწმიდა ანტიკური ხანის მორწმუნეებზეც გადადიოდა, და ინკარნაციის სიახლე სრულებით არ გამორიცხავდა მათ, რომლებსაც – ცხოვრობდნენ რა წინარე ეპოქაში – არ შეეძლოთ უშუალო ცოდნის მიღება იესოზე და მის სახარებაზე. ამრიგად, შესაძლებელი იყო, რომ ახალი დროების ფონზე აღმოეჩინათ „სახარების თესლი“, ანუ გაეცნობიერებინათ, რომ ღმერთი მრავალგვარი ფორმით ეუწყა წარსულში ადამიანებს, და შეეძლოთ მისი საიდუმლოს განჭვრეტა და მისი ცხოვრების გაზიარება. ამავე დროს, ღმერთი სულიწმიდით მოქმედებდა, ვიდრე სიტყვით. მაგრამ მამათა თვალთახედვით „ღმრთის სიტყვის თესლი“ დაკავშირებული იყო ქრისტეს გამოცხადებასთან: ერებს შორის „დათესილი“ სიტყვა, აპოლოგეტი მამების აზრით, იგივე იყო, რასაც ქრისტიანები იესო ნაზარეველში თვლიდნენ „ხორცშესხმულად“. ამგვარი მსოფლმხედველობა ერთმანეთთან აკავშირებდა ქრისტიანული რწმენის აღსარებასა და იმის აღიარებას, რაც ეკლესიის გარეთ „წმიდად“ და „ჭეშმარიტად“ ითვლებოდა. ამიტომაც, იგი ინახავს მთელ მის ღირსებასა და მნიშვნელობას იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც ქრისტემდე ცხოვრობდნენ.

მაგრამ აქვს კი ამგვარ ხედვას მნიშვნელობა მათთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ქრისტეს მოსვლის შემდეგ და ვერ ეუწყათ სახარება? სამართლიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ თუნდაც ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც „ობიექტურად“ განსხვავებულია, შესაძლებელია ის წინარე ეპოქის ანალოგად მივიჩნიოთ: როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მათ ვერ შეიცნეს ქრისტე, სრულებით არ გამორიცხავს ერებს შორის „დათესილ“ ღვთის სიტყვასთან ზიარებას... ამ თვალსაზრისით; თავად თემა – „ღმრთის სიტყვის თესლი“ თანამედროვე ეპოქამ განაახლა; თუკი XX საუკუნეში, მისიონერული გამოცდილებისადმი განახლებული ინტერესი არაქრისტიანულ რელიგიებთან კავშირში ამგვარი მოსაზრების გავრცელების საშუალებას იძლევა, ამას ვერ ვიტყვით ვერც ქრისტეს მოსვლამდე და ვერც მის შემდგომდროინდელ ეპოქებზე; ყოველ შემთხვევაში, ამ პატრისტიკულ არგუმენტთან დაკავშირებით, რომელმაც თავისი ნაყოფი გამოიღო, დღეს რამდენიმე კითხვა დაისმის. უწინარესად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში უფრო მეტად ქრება სრული

უცოდინრობა ქრისტიანობის ირგვლივ მსოფლიოს ამა თუ იმ მხარეში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი არც კი იცნობს ამ რელიგიას, ან არასწორი წარმოდგენა აქვს მასზე, ჩვენს ეპოქაში არ არსებობს კონტინენტი, სადაც სახარება არასოდეს არ გახმიანებულა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვაღიარებთ იმას, რაც სხვა რელიგიებში არის „ჭეშმარიტი“ და „წმიდა“, უფრო მეტად ვგრძნობთ, თუ როგორი განსხვავებულია ეს რელიგიები, რომლებსაც თავის მხრივ, ქრისტიანობისგან გამიჯვნა სურთ, თუნდაც პატივისცემისა და მოწიწების მიზნით. ისმის კითხვა: თეოლოგიური თვალსაზრისით, რა კუთხით შეიძლება მივუსადაგოთ თემა „ღმრთის სიტყვის თესლი“ ქრისტეს მოსვლის შემდეგდროინდელ ეპოქებს? ცხადია, ეს ყველაფერი გასაგები იქნება, თუკი მხედველობაში მივიღებთ, – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, – იმ ადამიანთა ანალოგიურ სიტუაციებს (როგორც ქრისტემდე, ასევე მის შემდგომ), რომლებიც არ ზიარებულან სახარების მადლს. მაგრამ ეს ვეღარ გამართლდება, თუკი ამ გზით გაუფერულდება ინკარნაციისა და საპასექო საიდუმლოს ისტორიული სიახლე.

ამგვარ პირობებში, როგორ შეიძლება ვაღიაროთ ის, რაც სხვა რელიგიებში არის „ჭეშმარიტი“ და „წმიდა“, ან თვით ჩვენს ისტორიაში ქრისტეს მოსვლის შემდეგ?

გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე

ერთ-ერთი პირველი გზა მდგომარეობს ღვთის სიტყვის გაცხადების გააზრებაში, სიტყვისა, რომელიც განკაცდა. თავისი სიტყვით, საქმითა

და ცხოვრებით, გაჭირვებულთა შორის ყოფნით, ამტანობით, ვნებითა და სიკვდილით იესო აჩვენებს თავისი კაცობრივი ბუნების სიღრმეს და მამასთან ერთადერთსა და განუმეორებელ კავშირს. მასში ყოველივე ჭეშმარიტი და წმიდაა, და ეს მისი ღმრთაებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. მაგრამ იესოს ცხოვრება არ არის მხოლოდ მისი ღმრთაებრივ-ადამიანური ბუნების გამოვლინება. იგი ნათელს ჰფენს იმას, რაც ყოველ ადამიანში შეიძლება გაცხადდეს, როგორც ღრმად ჰუმანური და რასაც ქრისტიანობა ღმერთთან მისი ურთიერთობის ნიშნად მიიჩნევს. იესოს სიტყვები და საქმეები უდავოდ უნიკალურია, და რადგანაც იგი არის „ჭეშმარიტება“, მამის „მხოლოდშობილი ძე“, ღვთის სიწმიდეში გვეუწყება. ეს ორივე თვისება მოუწოდებს ყოველ ადამიანს, რომელიც, სახარების ცოდნას მოკლებული, მოხმობილია სიტყვითა და საქმით ეზიაროს ღმრთაებრივ ჭეშმარიტებასა და სიწმინდეს. იესოს სიტყვები, რომ ის არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, შეგვიძლია ასე გავიგოთ: იესო არის „ჭეშმარიტება“, რამეთუ მასში განუყოფელია ადამიანური და ღმრთაებრივი ბუნება; ასევე „გზა“ და „სიცოცხლე“, რადგანაც აჩვენებს გზას, რომელიც ყოველმა ადამიანმა უნდა განვლოს, თუკი სურს ნამდვილ ცხოვრებას ეზიაროს, რაც ნიშნავს ღმრთაებრივ ცხოვრებასთან ზიარებას. თუკი ამგვარ გაგებას მხოლოდ სახარება იძლევა, სახარებისეული გამოცდილება მათთვისაც ხელმისაწვდომია, ვინც ქრისტეს არ იცნობს. და როგორც ნათქვამია ცნობილ იგავში საბოლოო სამსჯავროს დროს ხალხთა განკითხვაზე: ის, ვინც მშიერს დააპურებს, სნეულს ან პატიმარს მოინახულებს (ეს ნაბიჯი შეიძლება გადადგას ნებისმიერმა ადამიანმა, ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელმა), განკითხვის დღეს მიხვდება, რომ ეს ყოველივე გააკეთა „კაცის ძისათვის“, ანუ მან გაუცნობიერებლად გადადგა ეს ნაბიჯი მასთან კავშირში, ვისაც ქრისტიანები ღვთის ერთადერთ ძედ აღიარებენ.

მეორე გზა მდგომარეობს პასექის საიდუმლოს საყოველთაო ხასიათის გააზრებაში. ამ მხრივ, ნათლად ცხადდება ჯვრის სასწაულებრივი მადლის ძალა. იესო, მრავალთათვის თავშეწირული, ყველა ეროვნების ადამიანს იხსნის. ასევე უნდა დავფიქრდეთ აღმდგარი ქრისტეს მეუფებაზე, რომელიც ინარჩუნებს ისტორიასთან ახალ კავშირს. მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ისაა, რომელიც ოდესღაც განკაცდა; მაგრამ, რადგანაც ღმერთმა სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან, მისი არსებობის ადგილი და დრო განუზომელია კაცობრიობის ისტორიაში: იგი მოქმედებს სამყაროში სულიწმიდით, იზიდავს თავისკენ ჭეშმარიტებისა და სიწმინდის მოყვარულ ადამიანებს, რომლებიც ელიან დღეს, როდესაც ძე ყოველივეს გადასცემს მამას. აქ უნდა გავიხსენოთ წმიდა პავლეს სიტყვები ქრისტეს შესახებ, გრიგოლ ნოსელის მოძღვრება სიკვდილზე. თეოლოგია „მისტიკური სხეულის“ შესახებ საუკუნეების მანძილზე კვებავდა ეკლესიოლოგიას: ეკლესია გაგებულია არა „საზოგადოებად“, არამედ ყოველი მათგანის „სხეულად“, რომელიც – სხვადასხვა სიბრტყეზე მდგომი – ქრისტეს ეკუთვნის. ეს დოქტრინა ჩვენს არგუმენტსაც ეხება: იგი გვეხმარება, რომ ჩავწვდეთ ქრისტეს მეუფების არსს, მეუფებისა, რომელიც ვრცელდება მათზე, ვინც რელიგიურ სივრცეში გარკვეული ფორმით ამოწმებს ჭეშმარიტებასა და სიწმინდეს.

ჯ. ნიუმენი ეკლესიის სივრცეს ადარებდა იესოს მდგომარეობას, როდესაც იგი ტაძარში წარსდგა მოძღვართა შორის: ეკლესია „ყოველთვის ხედავდა თავის თავს მიწაზე, იღებდა და სწავლობდა მოძღვრებებს, რასაც აქ პოულობდა“; მან აღიარა ის, რაც მას სწორად მიაჩნდა და გაასწორა ის, რაც მის თვალში შეცდომად ჩანდა. ასე განვლო გზა, „ნელ-ნელა გააფართოვა სივრცე და განწმინდა საკუთარი სწავლება“. რელიგიათაშორისი დიალოგი შეიძლება ამ კუთხითაც იქნას გააზრებული. იგი არ კამათობს იმაზე, რაც ქრისტიანულ იდენტურობას ცხადჰყოფს; თუმცა აღიარებენ, რომ მათ (ქრისტიანებს) არ შეუძლიათ გულგრილად უყურონ სხვა მორწმუნეებს, და რომ მათგანაც უნდა ისწავლონ. თვალებს არ ხუჭავენ იმაზე, რომ სხვა ტრადიციებთან შეუთავსებელია ქრისტიანული ტრადიცია. სამაგიეროდ, აღიარებენ, რომ ასეთ პირობებში, სახარების შუქზე, შეიძლება მათი მიჩნევა, როგორც „ჭეშმარიტის და წმიდასი“: და ასეთიცაა ღვთის საქმის მიხედვით, რამეთუ ღმერთი ერებს შორის ყოველთვის დამოწმებულია, და ღმერთია, რომელიც ძესთან და სულიწმიდასთან ერთად, მსოფლიოში ავთენტური ჭეშმარიტებისა და სიწმინდის ფორმებს ავრცელებს.

მიშელ ფედო (Michel Fedou)
La Civilta' Cattolica/ 2010.16.01/

ვუგალობოთ უფალს ახალი გალობა

2012 წლის 22 აგვისტოს მზიანი, მაგრამ ზაფხულისთვის უჩვეულო, გრილი დილა გათენდა. მზის სხივები ათასფრად აელვარებდა ამწვანებულ არემარეს, სიო კი შვებას ჰგვრიდა წინა დღეებში მცხუნვარე მზით გადახრუკულ მინდვრებს. დილით, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მგალობელთა გუნდის წევრები წეროვანისკენ გავეშურეთ, რათა იქ შევხვედროდით საქართველოს სხვადასხვა კათოლიკური სამრევლოების გუნდის წევრებს.

როგორც ყოველთვის, წეროვანმა ახლაც გულღიად გვიმასპინძლა. აქ უკვე გველოდნენ ვალეს, ქუთაისის, ახალშენისა და ახალციხის მგალობელთა გუნდის წევრები. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო ახალი გალობების შესწავლა ლიტურგიული დროის მიხედვით, ძველების დახვეწა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება, რაც მთავარია, ერთმანეთთან დაახლოება და დამეგობრება.

როგორც მამა გაბრიელემ და ქალბატონმა მაგდამ აგვიხსნეს, გუნდის გალობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფსალმუნის საგალობლის სათანადო დონეზე შესრულებას და წმიდა წერილის საკითხავების მკაფიოდ, გარკვევით, მთელი გულისყურით წაკითხვას.

ასევე მნიშვნელოვანია ტაძრის გამშვენება სადაგ და სადღესასწაულო დღეებში. ეკლესია ზედმეტად არ უნდა იყოს გადატვირთული ყვავილებით, ყველაფერი უნდა შეესაბამებოდეს ყოველ საეკლესიო რიტუალსა და ლიტურგიულ დროს (აღდგომა, შობა, ხარება, ამაღლება, სულიწმიდის მოფენა, ადვენტი, მარხვა...), – აგვიხსნა მამა გაბრიელემ. ყოველივე ამის ცოდნა და გაცნობიერება ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო იყო.

ჩვენი შეხვედრის დღეები კი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა: დილის ლოცვები, დასვენება, სადილი, მეცადინეობა, გართობა, საღამოს კი ყველანი მწუხრის ლოცვებზე მივიჩქაროდით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადორაციები, რომელიც თაყვანისცემითა და დუმილით აღესრულებოდა.

ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები საჭიროა ჩვენი რწმენის განსამტკიცებლად, და იმის შესამეცნებლად, რომ იესო ჩვენი მეგზურია ყველგან და ყოველთვის, იესო კეთილი მწყემსია, ჩვენ კი მისი სამწყსო, მისი ფარა.

ვევედროთ უფალს, რომ კვლავ შეგვკრიბოს ერთ მთლიან ფარად, გადმოღვაროს ჩვენში სულიწმიდის მადლი და აგვავსოს რწმენითა და იმედით.

მაია ანთიძე

შეხვედრა წეროვანში

22 აგვისტოს მზიან და ხალისიან დღეს, ვალესა და ახალციხის ეკლესიის მგალობელთა გუნდის წევრები (სულ თოთხმეტი ახალგაზრდა), ხათუნა ჯანაშვილის ხელმძღვანელობით, სიხარულით გავეშურეთ წეროვანისკენ. ვილოცეთ და ღვთისმშობელს მშვიდობიანი მგზავრობა შევთხოვეთ.

სამი–ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ, წეროვანში ჩავედით. იქ მობინადრენი და სხვადასხვა საკრებულოებიდან ჩამოსული მგალობელთა გუნდის წევრები ხალისიანად და სიხარულით შეგვეგებნენ. ჩვენს გარდა, წეროვანში იმყოფებოდნენ წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის, ქუთაისისა და ახალშენის საკრებულოების გუნდის წევრებიც. მათ შორის ჩვენი ძველი მეგობრებიც აღმოჩნდნენ, რამაც ძალიან გაგვახარა, დანარჩენებთან კი უმალ გაიბა მეგობრობის ძაფები.

წეროვანში მშვენიერი ამინდი იდგა: ჩვენს თვალწინ ლამაზი პეიზაჟი იშლებოდა, რაც თვალსა და გულს გვიამებდა და გონებას გვიხალისებდა; ცაზე კაშკაშა მზე ანათებდა და თავის მცხუნვარე სხივებს უხვად უგზავნიდა დედამიწას, ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელოდა, წეროვანის ეზოში, სადაც მრავალწლოვანი წიწვოვან-ფოთლოვანი ხეებია, საოცრად გრილოდა. ყოველთვის, როდესაც წეროვანში ჩავდივართ, მისი სილამაზე და მომაჯადოებელი გარემო თითქოს სხვადასხვა ელფერს იძენს და სულ ახალ–ახალი სახით გვხვდება.

ჩვენი ყოველდღიური მუშაობა თუ გართობა დილის ლოცვანით იწყებოდა; წმიდა წირვისას, ყველანი სულიწმიდის მადლით ვივსებოდით, ამიტომ მთელ დღეს ენერგიულად და ხალისიანად ვატარებდით. მართალია, ამ სამდღიანი პროგრამის მიხედვით, ყოველი დღე ერთნაირად იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს დღეები ერთმანეთისგან მაინც საოცრად განსხვავდებოდა და ახალ–ახალი სიურპრიზებითა და მოლოდინით გვავსებდა. სხვადასხვა სამრევლოების გუნდის წევრები ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს გამოცდილებას, ვასწავლიდით გალობებს, ფსალმუნებს, ერთად ვსწავლობდით ახალ გალობებს.

ამ სამმა დღემ თვალის დახამხამებაში გაირბინა; ყველანი ნაღვლიანად დავემშვიდობეთ ერთმანეთს და, შთაბეჭდილებებითა და ემოციებით დატვირთულებმა, მშობლიურ კერას მივაშურეთ.

მთელი გუნდის სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მამა ზურაბს, მამა გაბრიელეს, მონაზონ ანა მარიას და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელს ხათუნა ჯანაშვილს.

მადლობა უფალს, რომ ქვეყნად არსებობენ კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც სიხარულს გვჩუქნიან და მომავლის იმედით გვავსებენ.

თეა გოზალიშვილი

შრომითი ბანაკი – კახეთი 15-26.08.2012

ჩვენი ბანაკი ასე დაიწყო: 15 აგვისტოს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები. 16 აგვისტოს შეიქმნა მოხალისეთა ბანაკი, რომლის მიზანი იყო მუშაობა საზოგადოებრივ ცენტრებში (სკოლა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო და სხვა)

პირველი დღიდანვე შეიქმნა სამი ჯგუფი, რომლის წევრებსაც აღებული ჰქონდათ გარკვეული მოვალეობა. მუშაობა კარგად დაიწყო; ის ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ დიდი ფიზიკური შესაძლებლობით, ეზოში მუშაობდნენ. მათ ევალებოდათ ღობეებისა და ჭიშკრის გაწმენდა-შეღებვა. ის, ვინც ფიზიკურად ღონიერი იყო, მამა იეჟის ეხმარებოდა. სამი დღის განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდა.

ბანაკის პროექტით, გათვალისწინებული იყო საბავშვო ბაღის გარემონტება, მაგრამ, დირექტორმა უარი თქვა ჩვენს დახმარებაზე. საბედნიეროდ, ნინიგორის სკოლის დირექტორმა მიიღო ჩვენი შემოთავაზება და 20 აგვისტოდან დაიწყო ახალი სამუშაო. ის ითვალისწინებდა ღობეებისა და ჭიშკრის გაწმენდა-შეღებვას. გამოცდილმა მოხალისეებმა დაიწყეს საკლასო ოთახის გარემონტება ამავე სკოლის შენობაში.

სიცხის გამო სკოლის ირგვლივ მუშაობა გაცილებით ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე ეკლესიის ტერიტორიაზე. დროდადრო ისმოდა შეძახილები: „დავიღალე", „ძალიან მცხელა". ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამის წყალობით, ყოველი დღე იწყებოდა ასეთი თემით:

„ურთიერთგაგება"
„აზრის გაზიარება"
„დახმარება"
„სიკეთის კეთება"
„ერთად სიარული"
„გიყვარდეს მტერი შენი"
„მივიღოთ ისეთი, როგორიც არის"
„სიჩუმეში მოსმენა"

არაა გასაკვირი, რომ ყოველი დღე იწყებოდა ლოცვით და მთავრდებოდა წმინდა წირვით.

ჩვენი საქმიანობა არ იყო ერთფეროვანი; ერთ დღეს, წირვის მსვლელობისას, ამოვარდა ქარიშხალი და წამოვიდა სეტყვა. დილით, როდესაც ყველანი ავდექით, სანახაობამ თვალზე ცრემლი მოგვგვარა, მაგრამ ყველაფერი აღვადგინეთ და მუშაობა კვლავ გაგრძელდა.

ყველა კვირას ელოდა; ეს იყო განტვირთვის დღე; წმინდა წირვის მერე, წავედით ჩანჩქერზე, სადაც დრო შესანიშნავად გავატარეთ.

დღეებმა შეუმჩნევლად ჩაიარა. ყველა მოხალისე დაუმეგობრდა და შეეჩვია ერთმანეთს. ჩვენ შევასრულეთ ჩვენს მიერ დასახული მიზანი.

კვირადღე იყო. ბანაკში გვესტუმრნენ გერმანელები, ლატვიელები და უკრაინელები; მათ მონაწილეობა მიიღეს წმინდა წირვაში და ქართული საგალობლები შეასრულეს.

წმინდა წირვის შემდეგ, მოეწყო მცირე ფურშეტი. სტუმრებმა მოხალისეები დაგვასაჩუქრეს, გადმოგვცეს კონვერტი ფულადი დახმარებით.

ბანაკში ყოფნის დროც დამთავრდა, დადგა გამომშვიდობების ჟამი, არავის უნდოდა განშორება. ბანაკის მონაწილეები გაემგზავრნენ, ეზოში დარჩა რამდენიმე მოხალისესგან შემდგარი ჯგუფი; მათ ორშაბათს სადილობამდე უნდა ემუშავათ. საკლასო ოთახის გარემონტება ვერ დავასრულეთ; დირექტორს შევპირდით, რომ დავბრუნდებოდით და სამუშაოს დავამთავრებდით. კახეთში ჩვენ დაუვიწყარი, სიხარულით სავსე დღეები გავატარეთ.

ბელა კოსტანოვა
ევგენია კარაპეტიანი
ეკა სანიკიძე

კამპოსკოლა წყვილებისათვის ბათუმი 2012

ყველამ ვიცით, რაოდენ ძვირფასია ეკლესიისათვის ქრისტიანული ოჯახი და როგორ ზრუნავს იგი მასზე: რეგულარულად, ყოველ წელიწადს ეწყობა კამპოსკოლა ოჯახებისთვის. არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. და ანა მარიას ორგანიზატორობით, წელსაც მოეწყო კამპოსკოლა, 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით, ბათუმში, იმედის სახლში. ამით ოჯახურ წყვილებს კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება, მიგვეღო დიდი სულიერი გამოცდილება და განემტკიცებულიყავით ღვთის წინაშე ჩვენს მიერ გაკეთებულ არჩევანში. ვმონაწილეობდით თორმეტი ოჯახური წყვილი, ჩვენს შვილებთან ერთად. ჩვენთან ერთად იყო INER-Georgia-ს წარმომადგენელი, ქალბატონი ნანა ნებიერიძე და ჩვენს სულიერებაზე ზრუნავდა მამა მაჩეი.

ყოველი დილა იწყებოდა ლოცვით. დღის პირველ ნახევარში ვუსმენდით მამა მაჩეის საუბრებს სხვადასხვა თემაზე: „ცოლქმრული სიყვარული", „ოჯახური კონფლიქტები", „ქრისტიანული აღზრდა". მამა მაჩეისთან ერთად, ჩვენ კიდევ ერთხელ დავფიქრდით და ღრმად გავიაზრეთ, რაოდენ წმინდა სავანეა ქრისტიანული ოჯახი, როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ოჯახური კონფლიქტები და მათი გამომწვევი მიზეზები, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯვრისწერა, როგორ უნდა აღვზარდოთ შვილები საუკუნო სიცოცხლისათვის ღვთის სადიდებლად და მოყვასის საკეთილდღეოდ...

ძალიან საინტერესო და გულში ჩამწვდომი იყო ქალბატონ ნანას მონათხრობი მარტინების წმინდა ოჯახის შესახებ, რომ ამ ოჯახში იშვა XX საუკუნის დასაწყისის უდიდესი წმინდანი და ეკლესიის მასწავლებელი ტერეზა ლიზიელი ყრმა იესოსი და იმ ნაყოფის გამო, რომელიც ამ ქრისტიანულმა ოჯახმა „გამოიღო"(ცოლ-ქმარ მარტინებს ხუთი შვილი ჰყავდათ, რომელთაგან ოთხი მონაზონი გახდა), ეს წყვილი ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული.

ლექციებისა და მომხსენებლებთან საინტერესო კითხვა-პასუხის შემდეგ, ჯგუფებში ვმუშაობდით. ამ საქმიანობას „სამუშაო" პირობითად ერქვა, რადგან იქმნებოდა ძალიან მეგობრული ატმოსფერო გულწრფელი საუბრისათვის და პირადი გამოცდილების გასაზიარებლად....

საღამოობით ვსეირნობდით ზღვის ნაპირზე, ვტკბებოდით გალამაზებულ-განახლებული ბათუმით, ანდა შინ

ვრჩებოდით და ერთმანეთს ვუზიარებდით დღის შთაბეჭდილებებს.

ბათუმში ყოფნის დროს, ჩვენი ყურადღება მიიქციეს ჩვენი სახლის უკან მდებარე ოჯახური ტიპის სახლის ბინადრებმა, რომელთაც მალე გავეცანით. ბოლო საღამოს, ამ ოჯახის უფროსები, იტალიელი მეუღლეები ინო და ალესანდრა, ოფიციალურადაც წარმოგვიდგნენ: იოანე XXIII–ის სახელობის საოჯახო სახლში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი ექვსი ქართველი ბავშვი, რომელთა აღზრდაზეც ზრუნავს ეს წყვილი. ინომ და ალესანდრამ ისაუბრეს მათი საქმიანობის შესახებ საქართველოში და, კერძოდ, ბათუმში.

ჩვენი კამპოსკოლა დასრულდა კვირა დღეს ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში აღვლენილი წირვით. ძალიან სასიამოვნო იყო ჩვენთვის ის გარემოება, რომ ეკლესია მლოცველს ვერ იტევდა: ადგილობრივი საკრებულოს მრევლისა და ჩვენს გარდა, წმიდა წირვაში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მრავალი ტურისტი. წმიდა წირვა აღავლინეს მამა მაჩეიმ და მამა გაბრიელემ. მათ კიდევ ერთხელ დაგვლოცეს, როგორც ოჯახური წყვილები და კიდევ ერთხელ მოგვიწოდეს მოწოდებაში სიმტკიცისაკენ...

...ექვსსაათიანი მგზავრობის შემდეგ, გვიან ღამით, დავბრუნდით შინ, აღსავსენი სასიამოვნო შთაბეჭდილებებით, მოგონებებითა და იმედით, რომ ბათუმის კამპოსკოლა თავის ნაყოფს გამოიღებს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების გზაზე...

P.S. ჯგუფის სახელით, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენი საკრებულოების მოძღვრებს, რომელთაც საშუალება მოგვცეს, მონაწილეობა მიგვეღო კამპოსკოლაში და რამდენიმე დღით დაგვესვენა ბათუმში ჩვენს შვილებთან ერთად; და ანა მარიას, კამპოსკოლის უცვლელ და დაუღალავ ორგანიზატორს; მამა მაჩეის, საინტერესო ლექციებისა და სულიერი რჩევებისათვის; ქალბატონ ნანას, საინტერესო საუბრებისა და რჩევებისათვის და ჩვენს მზარეულ დაშას, „გემოს" რომ მატებდა ჩვენს ბათუმურ დღეებს.

თაკო სარაშვილი

„მე არ დამკარგავს სამშობლო“

გიორგი ლეონიძის ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც ქვემოთ წარმოდგენილი ნეკროლოგის დედანი წავიკითხე და შევიტყვე ერთი ქართველი კათოლიკე ყმაწვილის ის ტრაგედია, რომელიც თითქმის საუკუნის წინ ზემო ბავარიის მაღალ მთებს შორის, სოფელ ეტალის ძველი მონასტერის სასულიერო სასწავლებელში დატრიალდა.

იმ დროს იქ რვა ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, მათ შორის – მომავალი მღვდელი და პროფესორი მიხეილ თარხნიშვილი და აღნიშნული ნეკროლოგის ავტორი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბასილ სადითიერაშვილი. საღვთისმეტყველო ცოდნას და მეცნიერებას დაწაფებულ ამ ქართველ ახალგაზრდებს ბედმა ბევრწილად უმუხთლა: მაშინ გერმანიასა და მთელ ევროპაში მსოფლიო ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა. ადგილობრივი საერო ხელისუფლება სარწმუნოებისა და ეკლესიის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ცდილობდა, ეკლესიები საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა. პოლიცია თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა, რის გამოც ყაჩაღები ხშირად თავს ესხმოდნენ მონასტრებსაც და სასულიერო სასწავლებლებსაც და აწიოკებდნენ. ასეთ დღეში აღმოჩნდა ულამაზესი და ჭეშმარიტად ღვთის მადლის განსასვენებელი ეტალიც, რომელიც მდებარეობით და ბუნებით საფარას, ყინწვისსა თუ შუამთას მოგვაგონებს. იმ დროს ეტალის სავანეში ჯარისკაცები და ყველა ჯურის გზააბნეულები კითხვისა და ნებართვის გარეშე შედიოდნენ და ღამეებს ათენებდნენ. საყოფაცხოვრებო პირობები დღითიდღე უარესდებოდა და მოსალოდნელმა შედეგმაც არ დააყოვნა: ეტალის სასულიერო სასწავლებელში მალე ეპიდემიამ იფეთქა, რამაც სამი ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის აღმოჩნდა 18 წლის უდელი ბიჭი – პეტრე კიკნაძე. ვინც ყურადღებით მოისმენს მისი უკანასკნელი დღეების ამბავს, არ შეიძლება არ გაახსენდეს გალაკტიონი: „ის უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები... ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით". ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, გავცნობოდით სასწავლებლის ექიმის მოხსენებით ბარათს. იგი მოგვაგონებს ნიკოლორთქიფანიძის ერთი პატარა და ერთობ შთამბეჭდავი მოთხრობის ექიმს, რომელიც თავს იმართლებს უცხოეთში გარდაცვლილი პატრიოტი ქართველი სტუდენტის დედისა და მეგობრების წინაშე, რა ვქნა, არავითარმა წამალმა არ იმოქმედაო.

შევეცადე გამეგო, არის თუ არა ცნობილი შესაბამის ქართულ ლიტერატურაში ეს ამბავი და ეს დოკუმენტი, დაწერილი გრდაცვლილის მეგობრისა და იმავე სასწავლებლის VI კლასის მოწაფის მიერ და დაბეჭდილი სასწავლებლის დროინდელ გაზეთში („Etaller Mondl", 1919, 2.II, No 2). საკითხავია: არის თუ არა შემორჩენილი ამ მშვენიერი ჭაბუკის ხსოვნა მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების შთამომავალთა შორის? კიკნაძეების გვარი დიდი გვარია. არიან მართლმადიდებელი, კათოლიკე და მუსლიმი კიკნაძეები. იქნებ შეძლონ უდელმა კიკნაძეებმა, რაიმე წერილობითი ან ზეპირი მასალა მოგვაწოდონ ამ პიროვნების შესახებ? ჯერჯერობით ვერაფერს მივაგენი და ვერც ვერეფრის შეტყობა შევძელი, რის გამოც გადავწყვიტე გერმანულ ენაზე დაწერილი ნეკროლოგის თარგმნა და გამოქვეყნება, რადგან მეც მწამს და ვაღიარებ, რომ საქრისტიანოს და არც საქართველოს დასაკარგი შვილი არა ჰყავს.

ნუგზარ პაპუაშვილი

პეტრე კიკნაძე †

კიდევ ერთი საყვარელი მეგობარი გამოგვტაცა სიკვდილმა 1918 წლის 9 ნოემბერს, – პეტრე კიკნაძე. მისი საამო თვისებები და მისი ზრდილობა, მისი ცოცხალი ტემპერამენტი მის გარდაცვალებას განსაკუთრებული ძალით განგვაცდევინებს და ამის გამოც იგი დაუვიწყარი იქნება ჩვენში.

პეტრე 1900 წლის 12 ივლისს ახალციხის მახლობლად სოფელ უდეში დაიბადა („ახალციხე“ ასე ითარგმანება: „ახალი ციხესიმაგრე“). იქ გაატარა მან ბავშვობა; სკოლაში ექვსი წლის შევიდა. იგი კლასში ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეულად ბეჯითი მოსწავლე იყო, რის გამოც მასწავლებლების სიყვარულს იმსახურებდა. მაგრამ იგი მხოლოდ გარეგანი მხირით როდი გახლდათ კეთილი. მას ასევე ჰქონდა მტკიცე განზრახვა, რომ მომავალში მშობლებს და სამშობლოს გამოდგომოდა. ჯერ კიდევ ათი წლის

ასაკში მის გულს შემოეგზნო სურვილი, რომ სიცოცხლე ღვთის სამსახურისათვის მიეძღვნა. 1913 წელს საქართველოში კონსტანტინოპოლიდან ქართველი მღვდლები ჩამოვიდნენ, რათა იქაური სემინარიისათვის ახალგაზრდები შეეგროვებინათ. პეტრე სიხარულით აღივსო და მათ გაჰყვა. 1917 წლის 12 თებერვალს მან და მისმა მეგობრებმა დატოვეს ოქროს რქის ქალაქი და ეტალისაკენ გაუდგნენ გზას (გერმანიაში).



ეტალი

თითოეულმა მათგანმა ღვთის სანატრელ დედას საგანგებო აღთქმით მიმართა. მან პირობა დადო, რომ ძალას და ღონეს არ დაიშურებდა, რათა ღირსი და ყოვლადსანატრელი ქალწულის მოსაწონი მღვდელი გამხდარიყო. მან დაწერა მშვენიერ ლოცვა ჯვარცმული მაცხოვრის მიმართ, რითაც ის მას შეევედრა: „მიწყალობე მტკიცე ხასიათი!“. ეს ღრმა ღვთისმოსაობა მისი ცხოვრების გარეგან მხარესაც ესატყვისებოდა. ის ემორჩილებოდა უფროსების სიტყვას. როდესაც გაღიზიანდებოდა, ანდა თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევდა, ერთგვარი რისხვით აინთებოდა და გაფიცხდებოდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც რისხვა გადაუვლიდა, იტყოდა, ეს მე სამართლიანად მომეზღოო. ხანდახან ის უმწვავეს საყვედურებს დუმილითაც დაითმენდა. ის ვერ იტანდა ბუზღუნს მეგობართა წრეში და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ამას. ის, რაც ჩვენ მის მიმართ განსაკუთრებული სიმპატიით განგვაწყობს, არის თვისება, რომელიც მას ჰქონდა და რომელიც ჩვენი ეპოქის ნაკლულებაა, – სიყვარული. მისი რჩეული სიტყვა გახლდათ: „იცოდე, რომ ღვთის გზა პირველ რიგში არის სიყვარული“. და ამ სიყვარულს ის სიტყვით და საქმით გამოხატავდა.

განმაცხოველებელი აღსარება მან, ჯერაც ჯანმრთელმა, ყოვლადწმინდის ხსენების წინადღეს ჩააბარა თითქოს იმის წინათგრძნობით, რომ მალე საკუთარი მხსნელის წინაშე წარდგებოდა. მოკლე დროში ის ავად გახდა. სასიკვდილო სარეცელზე ოდნავადაც არ გამოუმჟღავნებია სიკვდილის შიში; შინაგანად წმინდა ქალწულს მიენდო და, როდესაც ღირსმა მამა ჰუგომ მას ვნებული მაცხოვარი წარმოუსახა, ფიქრით და გონებით მან მისკენ მიისწრაფა.

ის, უკვე სასიკვდილოდ განწირულობის მიუხედავად, ამხნევებდა ამხანაგებს, რომლებიც მას ღამეს უთევდნენ. 1918 წლის 9 ნოემბერს, კვირას, 10 საათზე მან მე მომიხმო და ღიმილით მითხრა: „ვასო... მშვი... დობით!“. ეს იყო უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მე მისგან გავიგონე; მას უძლურებამ ლაპარაკის უნარი წაართვა. კარგახანს ეპყრა მის მარჯვენას ჩემი მარჯვენა. მთელ დღეს გრძელდებოდა სიკვდილთან ჭიდილი. საღამოს ექვს საათზე მან მოძრაობის უნარი დაკარგა, გაირინდა და გაშეშდა; 6 საათსა და 30 წუთზე სული განუტევა.

მან შეძლო, ლამაზად განევლო ცხოვრების გზა. იგი ხომ აქ, ეტალში, ყოვლადუწმინდესი საიდუმლოს მეშვეობით მაცხოვარს დღითიდღე უახლოვდებოდა. R. I. P [განისვენოს მშვიდობაში].

ბასილ სადითიერაშვილ

ეტალი



უდე

მეგრელი „ჯვარის მამა“ გაჯათოლიკებული ნიკიფორე ირბახია



ქართველი ერის ისტორიის მასალების სიმრავლე მეტად მდიდარია, იგი საოცარია მრავალთათვის. ჩვენს ისტორიაში ბევრ შესანიშნავ პიროვნებებზეც მოიპოვება ცნობები.

ეხლა მოგვყავს ნიკიფორე ირბახის ცნობა, რომელიც ჩვენს ისტორიაში მცირედ ცნობილ პირად არის დარჩენილი. რა ცნობებიც ვიცით, ესეც ევროპის მოგზაურთ მოძღვართ ნაწერებიდან. შარდენის მოწმობით ნიკიფორე, ანუ ნიკოლოზ ირბახი მეგრელი ყოფილა. იგი ეკუთვნოდა სამეგრელოს ერთს წარჩინებულ გვარის ოჯახს, ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში, სამეგრელოში. ჩვენ, ირბახი – ირბახიად მიგვაჩნია. ხოლო, რაც შეეხება სამეგრელოს თავადაზნაურთა გვარის აღწერას, აქ ამ გვარის მსგავსიც კი არავინ ჩანს. მაინც, ვინ იცის, იქნებ ირბახის გვარის წევრნი მე-17 საუკუნეში ცხოვრობდნენ და შემდეგ აღარ დარჩნენ, მოისპნენ. ადვილი შესაძლებელია, რადგან საქართველო სულ ომებში იყო ჩართული და ბევრი ძველი გვარის წევრნი გაქრნენ საერთოდ, შეიძლება ამ გვარსაც ასე მოუვიდა.

როგორც ჩანს, ნიკოლოზი – ირბახის მონათვლის სახელი ყოფილა. იგი აღზრდილა სამეგრელოში, შემდეგ საბერძნეთშიც ყოფილა, იერუსალიმშიც რამდენჯერმე უმგზავრია, სადაც უცხოვრია ბერძენ ბერებთან, ყველგან თავისი კვალი დაუტოვებია. მას ძალიან უყვარდა ევროპული ენები და მწერლობა, ახალგაზრდობაშივე შემდგარა ბერად და სახელად ნიკიფორე უწოდებიათ. არ არის ცნობილი, თუ სად აღიკვეცა იგი ბერად, საქართველოში თუ იერუსალიმში. ყველა საგანს კარგად სწავლობდა და შუა ხნის არც კი იქნებოდა, რომ უკვე სახელი გაითქვა. ის სახელგანთქმული იყო, როგორც სასულიერო ასპარეზზე, ასევე სამეფო პირების წინაშე. სასულიერო პირნი მას უმზერდნენ, როგორც მცოდნეს და შორს მჭვრეტელს, ღვთის და ადამიანთა სიყვარულით აღვსილს. ასევე უყურებდნენ მას სამეფო პირებიც, რადგანაც მან, როგორც წარჩინებული ოჯახის შვილმა, ადრევე გამოიჩინა ნიჭიერება სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში.

ნიკიფორე ირბახის ყველაზე უფრო საყურადღებო მხარე ის არის, რომ ახალგაზრდობიდანვე დიდი ნიჭიერება გამოიჩინა არა მარტო ქართულ მწერლობის ასპარეზზე, არამედ უცხო ერთა მწერლობის ასპარეზზედაც. იგი ევროპულ და აზიურ ენებზედაც ისევე თავისუფლად მწერლობდა, როგორც ქართულ ენაზე. ევროპულ ენებზე, უმეტესად საქართველოს შესახებ უწერია. ხანში შესვლის დროს ნიკიფორე ირბახი სამეგრელოში დამკვიდრებულა.

სამეგრელოში ირბახი ცხოვრობდა ერთ მონასტერში და ამ მონასტერს მთელი სამეგრელო სცემდა დიდ პატივს. ნიკიფორესაც ამ მონასტერში და მთელ სამეგრელოში დიდად აფასებდნენ, როგორც დამსახურებულ და გამორჩეულ ადამიანს. დიდი პატივისცემის ნიშნად მას ნიკიფორეს კი არ უწოდებდნენ, არამედ მამას, ანუ ჯვარის მამას, ვითარცა იერუსალიმში ნამყოფს, დიდად პატივცემულს და ხალხის მოყვარეს.

ნიკიფორე ცნობილი ყოფილა მთელ საქართველოშიც. თვით კახეთში, მეფე თეიმურაზ პირველიც კი იცნობდა და აფასებდა მას. მეფის მრავალგზის თხოვნის შედეგად, ნიკიფორე სამეფო და საერო საქმეებშიც მონაწილეობდა. ცნობა არა გვაქვს, მაგრამ როგორც ჩანს მას კახეთში უმოგზაურია და იქაური სამეფო, სათავადაზნაურო, სამღვდელო და გლეხობის საქმეებიც კარგად სცოდნია და თუ კახეთამდე მიაღწია, იქამდე მდებარე საქართველოს სხვა კუთხეებიც ექნებოდა კარგად შესწავლილი.

ნიკიფორე ირბახი იყო შორსმჭვრეტელი, თავის ქვეყნის მდგომარეობას კარგად იცნობდა, სამეფო საქმეებში შესანიშნავად ერკვეოდა და ქართველი ერის ცხოვრებას კარგად ხედავდა. ნათლად ჩანს, რომ ნიკიფორე ირბახია თავისი დროის სამაგალითო პიროვნება იყო, თუმცა მის შესახებ ცოტა ცნობები გვაქვს. მისი ბიოგრაფიის წაკითხვა ყველას განცვიფრებაში მოიყვანს.

ძალიან ძნელია, რომ რომელიმე პიროვნებამ თავისი სუფთა მოღვაწეობით სიცოცხლეშივე ისეთი დიდი სახელი მოიპოვოს ერში, რომ მას პატივისცემის ნიშნად მამა – ანუ ჯვარის მამა უწოდონ, ხოლო ეს კიდევ უფრო ძნელი იყო მე-17 საუკუნეში, რადგან მაშინ საქართველოსათვის მძიმე დრო იყო.

მოგახსენებთ, რომ ამ ნიკოლოზ, ანუ ბერობაში ნიკიფორე ირბახის გარდა, ნიკიფორე არქიმანდრიტი

იმ დროს სხვაც იყო. ის ეროვნებით იყო ბერძენი. იგი უმეტესად საქართველოში, კახეთში, მეფე თეიმურაზის დროს ცხოვრობდა. ამ მეფის წინაშე დიდად დამსახურებული იყო. ნიკიფორე ირბახი ქართლის მეფეს, იმერეთის ბატონიშვილებს და ლევან დადიანსაც, კარგად იცნობდა თურმე. მას საქართველოსათვის გული შესტკიოდა. როდესაც მეფე თეიმურაზმა რუსეთის მეფესთან მიწერ-მოწერა დაიწყო, ელჩად ეს ნიკიფორე გაგზავნა. ირბახი მხურვალედ მონაწილეობდა მეფე თეიმურაზის საქმეებში, მან (ნიკიფორემ) სპარს-ოსმალთა პოლიტიკა კარგად იცოდა. მეფეს ბევრ ბრძნულ რჩევას აძლევდა. თეიმურაზ მეფე ნიკიფორეს მიტროპოლიტად ასახელებს. 1640 წლისათვის ნიკიფორე უკვე იმდენი ხნისა ყოფილა, რომ საქართველოს საქმეებისათვის 50 წელი უმსახურია. ეს ნიკიფორე იერუსალიმის პატრიარქს თეიმურაზ მეფის თხოვნით, ჯერ ეპისკოპოსად უკურთხებია და შემდეგ მიტროპოლიტად. მეფის სიტყვით ეს მიტროპოლიტი ყოფილა მისი საქმეების პატივისმცემელი.

მაგრამ ეს მიტროპოლიტი შეიძლება არ იყოს ნიკიფორე ირბახი, რადგან მეფის სიტყვის თანახმად ნიკიფორე მიტროპოლიტი 1640 წელს 70 წლის მაინც იქნებოდა. შარდენი საქართველოში მოვიდა 1671 წელს, ამ დროს ნიკიფორე მიტროპოლიტი აღარც კი იქნებოდა და რომ ყოფილიყო კიდეც, უკვე ღრმა მოხუცს სამეფო საქმეებში მონაწილეობა აღარ შეეძლებოდა. ამიტომ გვგონია, რომ ეს ნიკიფორე ირბახი სხვა პირი უნდა იყოს, რადგანაც 1672 წელს შარდენის საქართველოში ყოფნის დროს, სამეგრელოში ცხოვრობდა, იყო არქიმანდრიტი და ხალხში დაუცხრომლად მოღვაწეობდა, რის გამოც მას ჯვარის მამა უწოდეს. თეიმურაზ მეფე ნიკიფორე მიტროპოლიტს ბერძნად მოიხსენიებს 1640 წელს, შარდენი კი ნიკიფორე არქიმანდრიტს ქართველად ასახელებს 1672-1678 წლებში. მაინც ყოველ შემთხვევაში, ეს ორი პირი, გინდ სხვადასხვა იყვნენ და გინდ ერთი, ჩვენი მოსაზრება მათს ვითარებას და პიროვნების ცნობებს მაინც არ ეწინააღმდეგება.

შარდენი თავისი მოგზაურობის დასაწყისის შემდეგ, აღწერს სამეგრელოს სამღვდელოების მდგომარეობას, აგრეთვე ბერების და მოლოზნების. ის წერს, რომ „სამეგრელოს სასულიერო პირებში დიდად სახელოვნებს არქიმანდრიტი, ანუ აბატი ნიკიფორე ირბახი, რომელიც ამჟამად 60 წელს არის მიღწეული და ხალხისაგან დიდად პატივცემულია. იგი ეკუთვნის ქართველთ ერთს უწარჩინებულეს გვარის ოჯახს. ხალხს ძლიერ უყვარს იგი, ამიტომ ჯვარის მამას უწოდებენ. სამეგრელოს მთავრები და თავადისშვილები მას ხშირად ნიშნავენ თავიანთ უმაღლეს მმართველად, უცხო სახელმწიფოთა წინაშე ელჩად, რადგანაც მას მშვენივრად ესმის პოლიტიკა. იგი ხშირად ყოფილა ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთში და იტალიაში. ყველგან ის ცხოვრობდა ჩვენი ბერების გვერდით. მან იცის ბევრი ენები. ქართულისა და მეგრულის გარდა იცის ბერძნული, ოსმალური, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. პაპის ურბან მე-8 წინაშე, კათოლიკობა მიიღო. ჩვენს ბერებს იგი დიდად სცემს პატივს. მგონი ფიქრი აღარ არის საჭირო იმაზე, რომ თუ ქართველებს მე-17 საუკუნეში ასეთი პოლიტიკოსები და ენათმეცნიერნი ჰყავდა, მხოლოდ ერთი და ორი ადამიანი არ იქნებოდა ასეთი, არამედ იქნებოდნენ სხვებიც.

სამეგრელოში ძველთაგანვე არსებობდა კათოლიკე ბერების სრული მისია, სადაც ძმათა რიცხვი ყოველთვის დიდი იყო და ისინი სარწმუნოების საქმეების გარდა, მკურნალობით და მასწავლებლობის შრომითაც ეხმარებოდნენ ხალხს და შეჰქონდათ მათში ბევრი სამეცნიერო საგნების სწავლა, ევროპული ენების ცოდნა. სწორედ ამიტომ ნიკიფორესნაირი ადამიანები საქართველოში ცოტანი არ იქნებოდნენ.

ევროპის ქალაქების მნახველი ნიკიფორე ირბახი, თავის სამშობლოშიც ბევრ კარგ რამეს შემოიტანდა. ბევრი მეგრელი შეისწავლიდა მისგან სხვადასხვა ენებს და საქმეებს. ქართველებს საამაყო ჰქონდათ, რომ ასეთი დიპლომატი ჰყავდათ, რომელიც ევროპულ ქვეყნებში გაიტანდა საქართველოს სახელს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი
და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები აღწერილი და
დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან.
თბილისი. მსწრაფლ-მბეჭდავი
არ. ვ. ქუთათელაძისა,
ნიკ. ქ. №21. 1904–1905
(ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი)
(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

ქრისტიანული ღვთისმსახურება და ქართული სასულიერო მწერლობა

სულხან–საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა გამოსცა პროფესორ ია გრიგალაშვილის (რედაქტორი, **პროფესორი ლაურა გრიგოლაშვილი**) წიგნი – ქრისტიანული ღვთისმსახურება და ქართული სასულიერო მწერლობა. ავტორი მსჯელობს ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმართებაზე ქართულ სასულიერო მწერლობასთან და საგულისხმო მეცნიერულ დასკვნებს გვთავაზობს.

წიგნი პოპულარულ ენაზეა დაწერილი და საინტერესოა არა მარტო სამეცნიერო წრეებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

განუსვენე მათ, უფალო!

გიგა აკოფაშვილი
* 18.01.1940 – არალი
† 13.09.2012 – არალი

ძეთო მერაბიშვილი
* 1.02.1932 – უდე
† 5.09.2012 – უდე

ნინა ძომოშვილი
* 19.03.1940 – არალი
† 4.08.2012 – არალი

თალიკო ელიაზოვა
* 17.05.1934 – ახალციხე
† 23.07.2012 – ჭიათურა

სიმონ ხითარიშვილი
* 1.12.1936 – ვალე
† 4.09.2012 – ვალე

თინა ხითარიშვილი
* 10.11..1941 – ვალე
† 25.08.2012 – ვალე

გიორგი გაგელაშვილი
* 13.05.1937 – ვალე
† 10.09.2012 – ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 7
მოხალისეები 12
ქრისტიანული ოჯახი..... 13
მე არ დამკარგავს სამშობლო 14
საარქივო მასალები 16
ახალი წიგნები 18
ყმაწვილთათვის 19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

წაიკითხეთ და გაიგეთ უფრო მეტი!

დიდი მოგზაურები



წარმოგიდგენთ მოგზაურობებსა და კვლევებს მთელი თავისი ხიფათითა და სირთულეებით, შიშითა და შემთხვევითი კონტაქტებით, სასოწარკვეთითა და, რასაკვირველია, ბრწყინვალე აღმოჩენებით.
შემოიარე დედამიწის ყველა კუთხე, შეხვდი მაგელანს, პისაროს, კარტიეს, ლივინგსტონს, ამუნდსენს, სკოტსა და მრავალ სხვას. შეეჩეხე უდაბურ მიწებს და აგრესიულ ხალხს, დასძლიე ხიფათი და შიში, ჩასწვდი ყველა დროის მოგზაურულ სულს, მიჰყევი პირველაღმომჩენთა ნაკვალევს და შემოუარე მსოფლიოს!

არქეოლოგიური სენსაციები

მოგითხრობთ გასაოცარ ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ იშიფრებოდა უძველესი ჩანაწერები, რათა მათი მეშვეობით აღმდგარიყო მივიწყებული წარსული. ესაა ანალიზის დაძაბული პროცესი, სადაც ბევრია იმედგაცრუება, რისკი, და რაღა თქმა უნდა – იღბალი! გაშიფრე უძველესი დოკუმენტები, მოინახულე ალტამირა, ტროა, მაჩუ-პიჭუ და მრავალი სხვა ქალაქი, წაიკითხე ფარაონის წყევლის ამბავი, ჩაყვინთე და ნახე წყალქვეშა ნამარხები, და გაიცანი უშიშარი მკვლევრები. გაჰყევი არქეოლოგებს და მათთან ერთად აღმოაჩინე საოცარი წარსული!

მზე და ქარი



მე ძლიერი ვარ! – თქვა მზემ.
– მე უფრო ძლიერი ვარ! – თქვა ქარმა.
ნეტავ, როგორ მორიგდებიან ისინი?
ამას ადვილად გაიგებ, თუ ძველი ბერძენი მწერლის, ეზოპეს, ამ პატარა ივავარაკს წაიკითხავ. აქვე საინტერესო თავსატეხებსაც ნახავ და კარგადაც გაერთობი.

ოკეანე

ჩაყვინთე მსოფლიო ოკეანეებში, იხილე საოცარ, სამგანზომილებიან პეიზაჟებში დახატული ზღვის ჯადოსნური ცხოვრება და ისმინე წყლის სიღრმიდან ამომავალი ხმები: დელფინების მხიარული ჟღურტული, სელაპების ხმამაღალი ყეფა და კუზა ვეშაპის სიმღერის თანამდევი ექო. ჩასცდი წყლის ზედაპირს: მის ქვეშ წყალქვეშა სამყაროს ბუნება გელოდება!